ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ირინა ვეფხვაძე

სამკურნალო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სამაგისტრო პროგრამა - საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია უამრავი ტურისტული რესურსი და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილურობის გარანტად უნდა დასახელდეს ეკონომიკის ისეთი დარგი, როგორიცაა ტურიზმი. აქედან გამომდინარე, ტურიზმის თანამედროვე მიმართლულებების, კერძოდ სამკურნალო-სპა ტურიზმის შესწავლა, მეტად აქტუალურია.

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს სამკურნალო ტურიზმის მნიშვენლოვანი მიმართულების - სპა ტურიზმის შესწავლა თბილისსა და კახეთში, კურორტებსა და თანამედროვე სპა-ცენტრებში არსებული სიტუაციის, მომსახურების დონის, შეთავაზებული პროდუქტების და ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, ასევე, ამ ინდუსტრიაში ჩვენთან არსებული მდგომარეობის, ნაკლოვანებებისა და უპირატესობების შედარება საერთაშორისო გამოცდილებასთან.

მიზნის მისაღწევად შესრულდა შემდეგი ამოცანები: სამკურნალო და სპა ტურიზმთან დაკავშირებული ტერმინების გაცნობა; სამკურნალო ტურიზმის წარმოშობის და განვითარების მოკლე ისტორიის მიმოხილვა მსოფლიოსა და საქართველოში; კურორტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო სისტემისა და სტატისტიკის ანალიზი; ასევე რაოდენობრივი კლვევის ფარგლებში თბილისისა და კახეთის მოსახლეობის გამოკითხვა.

კვლევის ობიექტად აღებულია თბილისსა და კახეთში არსებული სპა ცენტრები, გამოვლენილია სპა პოტენციალი, აქ არსებული რესურსები, მათი განვითარების მნიშვნელობა და შესაძლებლობები. ამას გარდა, გაანალიზებულია ხელის შემშლელი ფაქტორების კომპლექსი.

Annotation

Georgia is country that has countless tourism resources and therefore, tourism must be mentioned as a facilitator of country's economic development and stability. So the studing of healath-Spa tourism is very relevant.

The main goal of the research is to study Spa tourism in Tbilisi and Kakheti, the situation at the resorts and Spa-centres, level of serving, the offered products and market conditions, as well as comparing the conditions, disadvantages and advantages we have in this industry with international experiences.

In order to achieve the goal the following tasks were accomplished: introducing the terms related to Health and Spa tourism; a brief historical overview about the origin of the health and spa tourism in the world and in Georgia; analysis of the legislative system and statistics; interviewing the population of Tbilisi and Kakheti.

As an object of the research is taken the Spa-centres of Tbilisi and Kakheti, the resoures that are available here, importance of their development and opportunities. Moreover, the hampering factors are analized.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation..... 3

შესავალი 5

თავი 1. მეთოდოლოგია და თეორიული საფუძვლები 7

1.1 ლიტერატურული მიმოხილვა 11

თავი I. სამკურნალო ტურიზმის ისტორია საქართველოში..... 14

1.1 ისტორიული წანამძღვრები..... 14

1.3 სამკურნალო ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციები..... 22

1.4 საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა..... 26

თავი II. სპა ტურიზმი, როგორც სამკურნალო ტურიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება 27

2.1 სპა პროცედურები, მათი კლასიფიკაცია და განვითარების ეტაპები მსოფლიოში..... 30

2.2 სტანდარტული და ეგზოტიკური სპა პროცედურები..... 32

2.3 სპა-ს თანამედროვე ტენდენციები: მარკეტინგი უბიძგებს სპა-ტურიზმს მომსახურების მრავალფეროვნებისკენ..... 39

თავი III. სპა ინდუსტრია თბილისსა და კახეთში 41

3.1 კვლევა..... 52

3.2 SWOT ანალიზი..... 54

დასკვნა 59

ბიბლიოგრაფია..... 62

დანართი..... 64

შესავალი

თემის აქტუალობა - XXI საუკუნეში ადამიანი განსაკუთრებულად სტრესულ პირობებში აღმოჩნდა - ეკოლოგიური კატასტროფები, ეთნოკონფლიქტები, ტერაქტები, ომები, ცხოვრების დაჩქარებული რიტმი. დადგა განტვირთვისა და გაჯანსაღების ინოვაციური ფორმების გამოყენების დრო, სადაც ერთმანეთთან არის შერწყმული დასვენება, რელაქსაცია, გართობა, ფიზიკური და სულიერი წონასწორობის აღდგენა, ახლის შეცნობა, მკურნალობა და გაჯანსაღება. კვლევებით დადგენილია, რომ მსოფლიო მასშტაბით უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე შეიმჩნევა მოსახლეობის ინტერესის გაძლიერება გამაჯანსაღებელი-სპა ტურიზმისადმი, რომლის პოპულარობაც წლიდან წლამდე იზრდება. 2014 წელს ტურისტების დანახარჯებმა გამაჯანსაღებელ-სპა ტურიზმზე შეადგინა 438.6 მლრდ დოლარი, ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად 8.5-9%-ით იზრდება. გამაჯანსაღებელი ტურიზმის შემოსავლები იზრდება 50%-ით უფრო სწრაფად, ვიდრე მთლიანად გლობალური ტურიზმის შემოსავლები. მკურნალობის მიზნით, ყოველწლიურად ქვეყნის გარეთ მოგზაურობს 6 მილიონი ადამიანი, შიდა მოგზაურებიანად კი ეს რიცხვი ჯამში 10 მილიონს შეადგენს. 1994 წელს ჰავაის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ მულტიპლიკაციური ეფექტი მძლავრად არის გამოხატული გამაჯანსაღებელ-სპა ტურიზმში, ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯზე (გამაჯანსაღებელ ტურიზმში განხორციელებულ ინვესტიციაში ყოველი ერთი დოლარი გენერირდება 2.15 დოლარად, მაშინ როცა ტიპურ სათავგადასავლო ტურიზმში მხოლოდ 1.76 დოლარად) (Global Wellness Institute, 2013, pp. 11-12).

უცხოელი ექსპერტების აზრით და მოწინავე ტურისტული ქვეყნების გამოცდილებით, ბუნებრივი და საკურორტო ფაქტორებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, მიზანშეწონილი და პრიორიტეტულია გამაჯანსაღებელი, კერძოდ კი სპა ტურიზმის განვითარება. გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების დაჩქარება, ახალი ბაზრების ათვისება და საქართველოს, როგორც ტურისტული ბრენდის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაძლებელია ისეთი ტურისტული

პროდუქტის ფორმირებითა და შეთავაზებით, როგორიცაა ჰიდროთერმული სპა პროცედურები. დღევანდელ ინდუსტრიულ გარემოში კი ასეთ ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა მეტად დიდია. ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში სპა პროცედურების მაგალითზე გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016, გვ. 39-40).

მიზნები და ამოცანები - ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს სპა ბაზრის ორი მნიშვნელოვანი ნაწილის, თბილისისა და კახეთის არსებული სპა ინდუსტრიის შესწავლა და პერსპექტივების ანალიზი.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- სპა ინდუსტრიის გლობალური მნიშვნელობის განსაზღვრა თანამედროვე ადამიანის ეფექტური დასვენებისთვის და სასიცოცხლო ძალების აღდგენაში;
- თანამედროვე სპა ტენდენციებისა და სტატისტიკის მიმოხილვა
- სპა მომსახურების ბაზარის ანალიზი საქართველოში თბილისისა და კახეთის მაგალითზე;
- საქართველოს ტურიზმთან და კურორტებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა;
- მოსახლეობასთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება თბილისსა და კახეთში;
- მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

თავი 1. მეთოდოლოგია და თეორიული საფუძვლები

კვლევითი პროექტი განხორციელდა ორ ძირითად ეტაპად:

1. პირველე ეტაპზე ჩატარდა საკაბინეტო კვლევა, რომლი ფარგლებშიც მოხდა მეორადი მონაცემების შეგროვება (საქართველოში და მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული რელევანტური კვლევები), რამაც სრულყოფილი სიტუაციური ანალიზის შესაძლებლობა მოგვცა;
2. კლვევის შემდგომ ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, პირისპირ ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოვიკითხე 122 ადამიანი თბილისსა და კახეთში;

ჩატარებულმა კვლევა აჩვენა, თუ რა დამოკიდებულება აქვს საქართველოს მოსახლეობას ჰიდროთერმულ სპა პროცედურებთან, რამდენად ხელმისაწვდომია ისინი, რომელ რეგიონსა და ქალაქს უნდა მიექცეს ამ თვალსაზრისით ყურადღება. კვლევამ მოიცვა თბილისისა და კახეთის ბაზრები. აღნიშნულმა კვლევამ, გარდა მიზნად დასახულისა, მოგვცა საინტერესო შედეგები ზოგადად მოსახლეობის დამოკიდებულებასა და შეფასებაზე, ტურიზმის განვითარების დონესა და ხარისხთან მიმართებაში. კიდევ ერთხელ გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც დღესდღეობით წარმოადგენს საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებს. ჩემი კვლევის შედეგად დავადგინე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ადამიანებს სპა ტურიზმის მიმართ და როგორ არიან განწყობილი ტურიზმის ამ დარგის განვითარებასთან.

მონაცემების დამუშავება - თავდაპირველად მოხდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმულიზაცია. შემდეგ განხორცილედა მონაცებების კომპიუტერში შეტანა და დამუშავება.

კვლევის შეზღუდვები - შეზღუდვები დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ გამოყენებეულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და მცირეა რესპონდენტთა რაოდენობა, არ შეგვიძლია შედეგების განზოგადება მთელი საქართველოს მასშტაბით.

დაგეგმილი ქცევის თეორია (The theory of planned behavior – TPB)

აღნიშნული კვლევა ეყრდნობა დაგეგმილი ქცევის თეორიას, როგორც ერთგვარ ჩარჩოს, რათა გამოიკვლიოს სპა ინდუსტრიის ქცევითი განზრახვის პროგნოზირების მოდელი, რისთვისაც გამოიყენებს ხუთ კონკრეტულ ქცევით განზომილებას.

დასაწყისისათვის მნიშვნელოვანია განვმარტოთ თუ რას გულისხმობს უშვალოდ დაგეგმილი ქცევის თეორია (The theory of planned behavior - TPB). იგი შედგება სამი ძირითადი ელემენტისგან, რომელიც ხსნის და პროგნოზირებს სამომხმარებლო ქცევას, ესენია: დამოკიდებულება, სუბიექტური ნორმები და აღქმადი კონტროლი. თეორიის განვითარება უკავშირდება იჩეკ აზენის (Icek Ajzen) სახელს. აღნიშნულ კონცეფციის მიხედვით აუცილებელია მომხმარებელთა მიერ კონკრეტული პროდუქტის შეფასების გაგება და გააზრება. შესაბამისად სპა ტურიზმში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს მომხმარებელი მოცემული ინდუსტრიის სხვადასხვა უპირატესობას.

რაც შეეხება აღნიშნულ ხუთ ქცევით განზომილებას, ესენია:

კავშირი დამოკიდებულებასა და სპა განზრახვას შორის (Link between Attitude and Spa Intention);

ამ თეორიის მიხედვით დამოკიდებულება კონკრეტული ობიექტის მიმართ ეს არის ინდივიდის დადებითი/უარყოფითი განცდა ან სამიზნე ქცევასთან დაკავშირებული შეფასებები. ტურიზმში ჩტარებული კვლევები აჩვენებს, რომ ემოციური დამოკიდებულება ეს არის ქცევის საერთო შეფასება. სპა ინდუსტრია კი აღიქმება, როგორც უნიკალური პროდუქტი და მომსახურება. მკლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ემოციური

დამოკიდებულება ხშირად შემეცნებით დამუშავებულ ინფორმაციაზე უფრო მნიშვნელოვანიცაა.

კავშირი სუბიექტურ ნორმასა და სპა განზრახვას შორის (Link between Subjective Norm and Spa Intention);

სუბიექტური ნორმა განისაზღრება, როგორც ინდივიდუალური ნორმატიული შეხედულებები იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევენ სხვები მნიშვნელოვნად. სხვადასხვა კვლევებით დამტიცებულია რომ ოჯახი და მეგობრები გავლენას ახდენენ ინდივიდების ტურისტულ მიზნებზე. აღმოჩნდა რომ, დაინტერესებული პირები ინფორმაციას სპა ინდუსტრიაზე ვერბალური გზით უფრო იღებენ.

კავშირი აღქმად ქცევით კონტროლსა და სპა განზრახვას შორის (Link between Perceived Behavioral Control and Spa Intention);

აღქმადი ქცევითი კონტროლი ზომავს თუ რამდენად კარგად შეუძლია ინდივიდულურ ქმედებას მართოს კონკრეტული სიტუაციები და ზეგავლენა მოახდინოს იმის აღქმაზე თუ რამდენად ადვილი ან რთულია შეასრულო ესა თუ ის ქცევა. კვლევებით დადასტურდება, რომ აღქმადი ქცევით კონტროლს შეუძლია იმოქმედოს ადამიანთა განზრახვაზე. ასევე, გამოვლინდა მოგზაურობასა და დასვენებასთან დაკავშირებული ბარიერები, როგორებიცა დროის და ბიუჯეტის დეფიციტი, სეზონურობა, კლიმატი და ოჯახის ცხოვრების ციკლი.

კავშირი „სულიერ“ ველნესსა და სპა განზრახვას შორის (Link between Spiritual Wellness and Spa Intention);

Wellness - ინგლისურიდან პირდაპირ თარგმანში ნიშნავს კარგ ჯანმრთელობას (განსაკუთრებით როგორც ჯანმრთელი ცხოვრების წესის შედეგს). Wellness წარმოებულია. „be well“-გან, რაც ნიშნავს „კარგ თვითშეგრძნებას“ ან „კეთილგანწყობას“ - ეს არის სხეულისა და სულის, გონების ბალანსი, ტერმინი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას, სწორ კვებას, ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, მავნე ჩვევებისაგან განთავისუფლებასა და სამყაროსადმი კეთილ დამოკიდებულებას.

ველნესის მთავარი ამოცანა - დაავადებებისა და, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი დაბერების ნიშნების თავიდან აცილება და პროფილაქტიკაა. ველნესი ადამიანის კარგი მდგომარეობის ფილოსოფიაა, მისი არსებობის ყველა - სულიერ, სოცილურ თუ ფიზიკურ - სფეროში. ის ვინც ველნესის ფილოსოფიით ცხოვრობს, ასაკის მიუხედავად - იღბლიანი, წარმატებული და ენერგიით სავსე ოპტიმისტია. ის საკმაო ყურადღებას უთმობს თავისი სხეულის გარეგნულ მდგომარეობას, მისდევს ჯანმრთელი კვების პრინციპებს და იღებს ზომიერ ფიზიკურ დატვირთვებს. ზოგიერთი მკლვევარი აღნიშნავს იმ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სპა ვიზიტორების მოტივაციაზე, ესენია: „დასვენება და განტვირთვა“, „ თავის დაღწევა“ და „საკუთარი თავის წახალისება“. სპა მიმდევრებს კი სურთ სპას ინდუსტრიის გამოყენება „სულიერი“ გაჯანსაღების მიღწევაში.

კავშირი წარსულ გამოცდილებასა და სპა განზრახვას შორის (Link between Past Experience and Spa Intention)

დაგეგმილი ქცევის თეორია ეყრდნობა მრავალ კვლევით სამუშაოებს სამომხმარებლო ქცევის პროგნოზირებისათვის. თუმცა ზოგიერთი კვლევა გვთავაზობს დამატებით ცვლადებსაც რათა უკეთესად გავიგოთ და განვჭვრიტოთ სამომხმარებლო ქცევა TPB-ის მოდელში. მკლევართა აზრით, წარსული გამოცდილება მნიშვნელოვანია ქცევითი განზრახვის პროგნოზირებისთვის სტუმართმასპინძლობის და ტურიზმის ინდუსტრიაში. მაგალითად, ერთ-ერთი მეცნიერის კვლევაზე დაყრდნობით, რომელიც აკვირდებოდა 2 წლის განმავლობაში სპა ვიზოტორებს, აღმოაჩინა რომ, სამიზნე ჯგუფის 30% სამჯერ მაინც ესტუმრა სპა ცენტრს, მაშინ, როდესაც ამ დროის მანძილზე ხუთ სხვადასხვა კურორტს ეწვივნენ, რაც ამტკიცებს, რომ სპა ტურიზმის მოყვარულებში წარსული გამოცდილება დადებით ზეგავლენას ახდენს და ზრდის იმის ალბათობას, რომ ისინი კვლავ ეწვევიან სპა ობიექტებს (Kim, Kim, Huh, & Knutson, 2010, გვ. 2-3).

1.1 ლიტერატურული მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ სამკურნალო ტურიზმის კონცეფცია ფართოდ არის გავრცელებული, მეცნიერების მიერ ერთიანი საყოველთაო განმარტება მაინც არ არის განსაზღვრული. როდესაც საუბარია მოგზაურობაზე, რომელიც დაფუძნებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობასთან, ხშირად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: სამკურნალო ტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, ველნეს ტურიზმი და სპა ტურიზმი. აღნიშნული ტერმინები ხშირად ურთიერთშემცვლელია და მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ტურიზმის დამოუკიდებელ სეგმენტებათაც შეიძლება მივიჩნიოთ. მეორე ნაწილი კი ცდილობს მკურნალობის მიზნით მოგზაურობა ერთი კონკრეტული ტიპის ტურიზმთან დააკავშიროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო და ველნეს ტურიზმი, მიუხედავად მათი ფართო გავრცელებისა მაინც სამკურნალო ტურიზმის ქვეკატეგორიებია. ველნეს ტურიზმით დაინტერესებული არიან ადამიანები, რომელთა მიზანია შეინარჩუნონ ან ხელი შეუწყონ საკუთარ ჯანმრთელობას, ხოლო სამედიცინო ტურიზმით ის პირები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ სამედიცინო ჩარევას. არსებობს სამკურნალო ტურიზმის მრავალი განსხვავებული განმარტება, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: პირველი ხაზს უსვამს მიწოდების მხარეს და მიუთითებს მოთხოვნის მხარის მნიშვნელობაზე. აღნიშნავს, სამკურნალო ტურიზმისათვის სპეციალური ტურისტული ინფრასტრუქტურის საჭიროებას (სპეციალური სამკურნალო დაწესებულებები და განთავსების საშუალებები. (Romanova, Vetitnev, & Dimanche, 2015). ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი ავტორი საკურნალო ტურიზმს განმარტავს, როგორც ტურისტული ობიექტების (მაგალითად სასტუმრო) ან დანიშნულების ადგილის (მაგლითად ბადენი, გერმანია) მცდელობას, მოიზიდონ ტურისტები მათთვის ჯანდაცვის სერვისების, მომსახურების და სპეცალური დაწესებულებების შეთავაზებით. ჯანდაცვის ეს სერვისები შეიძლება მოიცავდეს სამედიცინო გამოკვლევებს, რომლებსაც ატარებენ მოცემული კურორტისა თუ სასტუმროს კვალიფიციური ექიმები. ასევე, სპეციალურ დიეტებს, აკუპუნქტურას, მცენარეულ

მკურნალობას, კომპლექსური ვიტამინების მიღებას, სხვადასხვა დაავადებების (მაგალითად ართრიტი) სპეციალურ სამედიცინო მკურნალობას (Goodrich & Goodrich, 1991).

მეორე ჯგუფი კი აქცენტს აკეთებს მოთხოვნის მხარეზე და იმ საჭიროებებზე, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, დავყოთ სამკურნალო მიზნით მოგზაური ტურისტები ორ კატეგორიად: 1. ტურისტები, რომელთაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები და მოგზაურობენ გარკვეული დაავადებების სამკურნალოდ და 2. ტურისტები, რომლებიც გადიან შვებულებაში ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და ძალების აღსადგენად (Romanova, Vetitnev, & Dimanche, 2015).

ბოლო წლებში რამდენიმე ფაქტორთა კომბინაციამ გამოიწვია სამკურნალო ტურიზმის მნიშვნელობის ზრდა. განვითარებული სახელმწიფოების მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულები სამკურნალო ტურიზმში, რადგან მსგავსი მომსახურება მათ ქვეყნებში საკმაოდ ძვირია. ხოლო ასეთი ტიპის ტურიზმი მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის მომსახურებას დაბალ ფასად. აქედან გამომდინარე, ის მოქალაქეები, რომელთაც არ გააჩნიათ ან აქვთ ჯანმრთელობის შეზღუდული სადაზღვევო პროგრამა, ირჩევენ მკურნალობას საზღვარგარეთ. ამასთანავე, მკურნალობის პერიოდში მათ აქვთ შესაძლებლობა, მოინახულონ უცხო ქვეყანა და ისიამოვნონ მისი ტურისტული შემოთავაზებებით. განსხვავებულ მაგალითს წარმოადგენს დიდ ბრიტანეთის შემთხვევა სადაც, ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის ფარგლებში, სამედიცინო მკურნალობა უფასოა, თუმცა პაციენტებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უწევთ ლოდინი, რათა მიიღონ სათანადო მომსახურება. ლოდინის პერიოდი შეიძლება 18-დან 24 თვემდე გაგრძელდეს. ასე, რომ პაციენტები ირჩევენ სამკურნალო ტურიზმს, რათა გაცილებით სწრაფად, სულ რამდენიმე კვირაში მიიღონ სასურველი სამედიცინო მომსახურება. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განვითარებადი ქვეყნების მდიდარი მოსახლეობაც ხშირად მიმართავს სამკურნალო ტურიზმს, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი იღებენ მაღალი ხარისხის მომსახურებას, რაც შესაძლოა მიუწვდომელი იყოს მათ სამშობლოში (Jyothis, 2009).

ამრიგად, ადამიანები სამკურნალო ტურიზმს ირჩევენ შემდეგი მიზნებით:

- მაღალი ხარისხის მომსახურება დაბალ ფასად სამკურნალო ტურიზმის დესტინაციაში, განსხვავებით მშობლიური ქვეყნის მაღალი ფასებისგან;
- ხანგრძლივი ლოდინი მშობლიურ ქვეყანაში და მომსახურების მიღების სისწრაფე სამკურნალო ტურიზმის დესტინაციაში;
- მაღალი ხარისხის მოწყობილობებითა და ტექნოლოგიებით სარგებლობის შესაძლებლობა სამკურნალო ტურიზმის დესტინაციაში;
- ალტერნატიული მედიკამენტების მიღების შესაძლებლობა გვერდითი ეფეტების საშიშროების გარეშე;
- ერთდროულად მოგზაურობისა და დასვენების შესაძლებლობა ახალ გარემოში;
- საერთაშორისო მოგზაურობის ხელმისაწვდომობა, სიმარტივე და მოსახერხებელი გაცვლითი კურსი;
- მეტად მეგობრული და სტუმართმოყვარე გარემო სამკურნალო ტურიზმის დესტინაციაში, სადაც ტურისტებს შეუძლიათ თავი იგრძნონ როგორც საკუთარ სახლში, მიუხედავად მძიმე დაავადებებისა;
- მაღალკვალიფიციური ექიმებისა და მაღალი სტანდარტების მომსახურების ხელმისაწვდომობა (Jyothis, 2009);

თავი I. სამკურნალო ტურიზმის ისტორია საქართველოში

1.1 ისტორიული წანამძღვრები

საუკუნების განმავლობაში მკურნალობა ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ტურიზმში. ადამიანები ოდითგანვე მოგზაურობდნენ მთელს მსოფლიოში ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და ძალების აღსადგენად. ზოგიერთი მინერალური წყლის სამურნალო თვისებების შესახებ ხმები საკმაოდ შორს ვრცელდებოდა, რაც მრავალი ტურისტის მოდინებას იწვევდა. სასწაულმოქმედი წყაროები ხშირად რელიგიური კულტის საგანიც ხდებოდა.

უკანასკნელი მონაცემებით, ყველაზე ძველად ითვლება პაკისტანში ქალაქ მოჰენჯო დაროში (Mohenjo-Daro) აღმოჩენილი ნანგრევები, რომელიც დაახლოებით 4500 წლით თარიღდება. ეს ქალაქი ინდის ცივილიზაციის ნაწილია და ძველი ეგვიპტისა და შუამდინარეთის პერიოდს მიეკუთვნება. სიტყვა-სიტყვით მოჰენჯო დარო ნიშნავს „მკვდრების ბორცვს“ (Pal, 2016).

მოჰენჯო დარო გამოირჩევა იდეალური დაგეგმარებით, რომლის მშენებლობისას გამოყენებული იყო გამომწვარი აგური. ეს თითქმის პირველი ქალაქია კანალიზაციითა და საზოგადოებრივი საპირფარეშოებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივები ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდნენ პირად ჰიგიენას. სხვა ნაგებობთან ერთად ყურადღებას იპყრობს „დიდი აუზი“ (83 $მ^2$), რომელიც საკულტო და რელიგიური განბანვებისათვის გამოიყენებოდა (ყუფარაძე, 2015)

ასევე აღსანიშნავია შუმერების (დაახლოებით 4000 წელი ჩვ.წ.აღრიცხვამდე) მიერ ცხელ მინერალურ წყლების გარშემო აგებული სამკურნალო დაწესებულებები, რომლებიც მოიცავდა უზარმაზარ საცურაო აუზებს.

ძველი ბერძნები იყვნენ პირველები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს სამკურნალო ტურიზმის განვითარებას. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მედიცინის მამამთავრად ითვლებოდა მკურნალობის ღმერთი ასკლეპიოსი. რომლის სახელსაც უკავშირდება 300-

მდე ტაძრის მშენებლობა ანტიკურ საბერძნეთში. ასკლეპეიონიები (ასკლეპიოსის სახელობის ტაძარი) გამოირჩეოდა თავისი აბანოებით, აუზებით, რომელშიც სამკურნალო მინერალური წყალი ჩაედინებოდა, ასევე, სავარჯიშო დარბაზით, თეატრით, ბიბლიოთეკითა და კიპარისის ტყეებით, რომლებიც ხელს უწყობდნენ ჰაერის გაჯანსაღებას (Holloway, 2015).

ევროპის ტერიტორიაზე მატერიალური დასაბუთებებიდან ყველაზე ძველად ითვლება ბრინჯაოს ხანის ნანგრევები დღევანდელი შვეიცარიის ტერიტორიაზე, კურორტ სანკტ-მორიცის ახლოს. ძალიან ბევრი ასეთი ნანგრევია აღმოჩენილი რომის იმპერიის საზღვრებში, როგორც ახლანდელი იტალიის, ასევე გერმანიის, რუმინეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ალჟირის ტერიტორიებზე. განსაკუთრებით ცნობილი იყო კურორტი ბაია, რომელიც მდებარეობდა ნეაპოლის ყურეში და ჰქონდა ტერასულად მოწყობილი სააბაზანოები. შესანიშნავი ბუნების, ლამაზი ლანდშაფტისა და მინერალური წყლების გამო, იგი ითვლებოდა რომის დიდებულთა ელიტარულ დასასვენებელ ადგილად და პომპეის, ჰერკულანუმისა და კაპრის კურორტებზე უფრო პოპულარული იყო. ბაია მე-8 საუკუნეში მიატოვეს მალარიის ეპიდემიის გამო.დღეს მისი დიდი ნაწილი წყლის ქვეშაა მოქცეული, რაც ადგილობრივი ვულკანის აქტივობამ განაპირობა. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ ეს ქალაქი იყო იმ დროის მნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური კურორტი. მრავალრიცხოვანი თბილი მინერალური წყლის აბაზანები ივსებოდა გოგირდოვანი წყლის წყაროებიდან. რომაელმა ინჟინერებმა ისე დაგეგმეს წყალგაყვანილობა, რომ სითბო ცირკულირებდა აბაზანების ქვემოთ და ქმნიდა საუნის ეფექტს. ეს აბაზანები გამოიყენებოდა როგორც განტვირთვისთვის, ასევე სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კურორტად ითვლებოდა კარლს-ბადი (კარლოვი-ვარი, ჩეხეთი), რომელიც მე-14 საუკუნეში დაარსდა. ამავე დროიდან პოპულარული ხდება ბადენ-ბადენიც (გერმანია).

მე-17 საუკუნიდან საფრანგეთში დაფუძნდა საკურორტო ინსპექტურა, რომლის ფუნქციაც იყო კურორტების მდგომარეობასა და მათ ექსპლუატაციაზე კონტროლი.

რუსეთში ბალნეოლოგიის განვითარება პეტრე I-ის სახელს უკავშირდება, როდესაც 1717 წელს გამოიცა მისი ბრძანება რუსეთში მინერალური წყლების გამოყენების შესახებ.

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი სამკურნალო რესურსებით. ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე არსებული მინერალური წყაროების შესახებ, ჯერ კიდევ უძველეს ავტორთა თხზულებებში გვხვდება (ყუფარაძე, 2015).

ქვეყნის კანონმდებლობით დარეგისტრირებული 103 კურორტიდან, 44 კლიმატურია, 30 შერეული, 27 ბალნეოლოგიური და 2 ტალახსამკურნალო (იხ. დანართი, რუკა 1). კურორტების ტერიტორიული სტრუქტურა კი შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება - ბალნეოლოგიური და ტალახსამკურნალო კურორტების უმეტესობა საქართველოს მთათაშორისი ბარშია თავმოყრილი, შერეული და კლიმატური კი - ზღვის სანაპიროზე და მთისწინეთში (ნეიძე, პავლიაშვილი, & თუთბერიძე, 2017, გვ. 60)

ერთ-ერთ ძირითად საკურორტო ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ჰიდრომინერალური რესურსები. საქართველოში მოიპოვება 2000-ზე მეტი მინერალური წყალი, რომელთაგან 1700-ზე მეტს ბუნებრივი გამოსავალი აქვს, ხოლო 300-ზე მეტი მიიღება ჭაბურღილებიდან. აღნიშნული მინერალური წყლების ქიმიური და ფიზიკური თავისებურებები მიანიშნებს ამ წყლების უმრავლესობის სამკურნალო თვისებებზე (სააკაშვილი, თარხან-მოურავი, ტაბიძე, & ქუთათელაძე, 2011, გვ. 3).

მინერალური წყლების საერთო დებიტი 120 მლნ. ლიტრს აღემატება დღე-ღამეში. ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება ნახშირმჟავა მინერალური წყლები, რომელთა დღე-ღამის საერთო დებიტი 60 მლნ. ლიტრამდე ადის. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლების განლაგება განპირობებულია ე.წ. გეოტექტონიკური ზონების სტრუქტრულ-გეოლოგიური და ჰიდროქიმიური თავისებურებებით (ყუფარაძე, 2015).

ბალნეოლოგიური კურორტებისთვის და საკურორტო ადგილებისთვის დამახასიათებელია ისეთი ბუნებრივი მინერალური წყლების არსებობა, რომლებიც გამოიყენება ბალნეოლოგიური პროცედურების სახით (აბაზანები, ბანაობა აუზში, მინერალური წყლის დალევა, ინჰალაციები მინერალური წყლით და ა.შ.). ამ ტიპის კურორტებზე უნდა არსებობდეს ბალნეოსამკურნალო შენობა (სააბაზანო), ბიუვეტები და სასმელი წყლის გალერეები (თუ მინერალური წყალი გამოიყენება სასმელად), საინჰალაციო ოთახები (ემანატორიები) და სხვ. ბალნეოლოგიურ საკურორტო ადგილებში არსებობს მინერალური წყლები, მაგრამ არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა მათი გამოყენებისათვის (სააკაშვილი, თარხან-მოურავი, ტაბიძე, & ქუთათელაძე, 2011, გვ. 3).

ბალნეოლოგიური კურორტებიდან აღსანიშნავია ყველაზე ცნობილი და ამავე დროს უძველესი ქართული ბალნეოლოგიური კურორტი **ბორჯომი**. მისი წყლების ისტორია თითქმის 2000 წელს ითვლის. ძველებურ ეპოსებში, რომლებიც ჩვ.წ. აღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინ დაიწერა, უკვე ნახსენებია მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ.

მკვლევარების მტკიცებით, „ბორჯომს“ არა მხოლოდ სვამდნენ, არამედ სამკურნალო აბაზანების მისაღებადაც იყენებდნენ. ამაზე მეტყველებს ქვის აბაზანები, რომლებიც ნაპოვნია არქეოლოგიური გათხრების დროს და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით თარიღდება. ასევე ნაპოვნი იქნა „ბორჯომის“ წყლის საბადოს მიერთებული თიხის მილები, რომელთაც შუა საუკუნეებში იყენებდნენ. ბორჯომის წამყვანი სამკურნალო ფაქტორია საყოველთაოდ ცნობილი მინერალური წყლები (ვიშის ტიპის - საგრანგეთი). ქიმიური შემადგენლობით მინერალური წყლები მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმიან წყლებს, რომელიც შეიცავს თავისუფალ ნახშირმჟავას. მინერალური წყლის ტემპერატურა სხვადასხვა წყაროებში მერყეობს +17-38^{0}C. წყლების საერთო დებიტი ცვალებადია და 700-800 ათას ლიტრს შეადგენს დღე-ღამეში.

მინერალური წყლები კურორტზე ძირითადად გამოიყენება სასმელ-სამკურნალოდ, სააბაზანო პროცედურების გასაშვებად, ინჰალაციის, კუჭისა და ნაწლავების გამოსარეცხად,

ხოლო არაკურორტულ პირობებში, როგორც სამკურნალო და სუფრის წყალი (ყუფარაძე, 2015).

ასევე აღსანიშნავია, ბალნოლოგიური კურორტი **ნაბეღლავი** ჩოხატაურის რაიონში. მდებარეობს მესხეთის ქედის (მცირე კავკასიონის სისტემა) მთისწინეთში, მდ. გუბაზოულის (მდ. სუფსის შენაკადი) ხეობაში, სიმაღლე ზღვის დონიდან 470-490 მ. კლიმატის თავისებურება განპირობებულია კურორტის სუბტროპიკული სარტყლის ტყის ზონაში განლაგებით და შავი ზღვის სიახლოვით, ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლოა (იანვრის საშუალო ტემპერატურა 3,6^{0}C). ზაფხული თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 20,2^{0}C). ნალექების რაოდენობა წელიწადში – 1438 მმ. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი (ბორჯომის ტიპის) მინერალური წყლები, შეიცავენ კაჟმჟავას, ბრომს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

ნუნისი ბალნეოლოგიური კურორტია ხარაგაულის რაიონში. მდებარეობს ლიხის (სურამის) ქედის მთისწინეთში. სიმაღლე ზღვის დონიდან - 750-800 მ.

კლიმატი - სუბტროპიკული, ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო (იანვრის საშუალო ტემპერატურა - 0,3^{0}C). ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიო (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 21^{0}C). ნალექების წლიური რაოდენობა - 1150-1200 მმ. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის სუბტროპიკული ჰავა და აზოტიანი, მეთანიანი, სუსტად სულფიდური, კაჟიანი, ქლორიდულ- ჰიდროკარბონატულ-კარბონატული, ნატრიუმიანი (და კალციუმიან-ნატრიუმიანი) მინერალური წყლები,

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

ამაღლება ბალნეოლოგიური კურორტია ვანის რაიონში. მდებარეობსიმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხენა სანაპირო, სიმაღლე ზღვის დონიდან 80 მ.

კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო (იანვრის საშუალო ტემპერატურა 4,1^{0}C). ზაფხული ძალიან თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 23,1^{0}C). ნალექების წლიური რაოდენობა - 1600-1800 მმ. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: თერმული (ტემპერატურა 40^{0}C - 41^{0}C), ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, რომელიც შეიცავს გაზრდილი რაოდენობით ჰიდროკარბონატს, კალციუმს და კაჟმჟავას.

მკურნალობის სახეობა: მინერალური წყლის აბაზანები.

საირმე ბალნეოლოგიური კურორტია ბაღდათის რაიონში. მდებარეობს მესხეთის (აჭარა - იმერეთის) ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე წაბლისწყლის ხეობაში. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1100 მ. კლიმატი სუბტროპიკული ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი (იანვრის საშუალო ტემპერატურაა -3^{0}C). ზაფხული ზომიერად თბილი, ზომიერად ტენიან (აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17,8^{0}C). ნალექების წლიური რაოდენობა - 1000-1100 მმ.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა;

ნახშირმჟავა, კაჟიანი, ბორიანი, რკინიანი მინერალური წყლები და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, კალციუმიან- მაგნიუმიანი, კაჟიანი, რკინიანი მინერალური წყლები (გამოიყენება სასმელად). საირმის ცენტრიდან 5 კმ-ში მდებარეობს ადგილი უდაბნო, რომელშიც მოიპოვება აზოტიან-მეთანიან, სუსტად სულფიდური, კარბონატულ-ჰიდრიკარბონატულ, სულფატურ, კალციუმიან, მაგნიუმიანი მინერალური წყლები (გამოიყენება აბაზანებისთვის).მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

წყალტუბო ბალნეოლოგიური კურორტია წყალტუბოს რაიონში. მდებარეობის მდ. წყალტუბოსწყლის (გუბისწყლის მარცხენა შენაკადი) ნაპირებზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 95 - 120 მ. კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო (იანვრის საშუალო ტემპერატურა 5,3^{0}C). ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად ნოტიო (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 23,8^{0}C). ნალექების წლიური რაოდენობა - 1700-1800 მმ.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და ინჰალაციები, სპელეოთერაპია.

მენჯი ბალნეოლოგიური კურორტია სენაკის რაიონში. მდებარეობა კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი, მდ. ცივის (მდ. რიონის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. სიმაღლე ზღვის დონიდან - 29 მ. კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა 5,2^{0}C) ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო (აგვისტოს საშუალო

ტემპერატურაა 23^{0}C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1480 მმ.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: მეთანიანი, სულფიდური, კაჟიანი, ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, სულფიდური, ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

რაც შეეხება ბალნეო-კლიმატურ კურორტებს, ბალნეო-კლიმატური კურორტი და საკურორტო ადგილი ეწოდება იმ ბალნეოლოგიური კურორტისა და საკურორტო ადგილის ქვეტიპს, რომელშიც, სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, ძირითადად, გამოიყენება იქ არსებული მინერალური წყლები და ნაკლებად – კლიმატოთერაპიული პროცედურები.

ბალნეო-კლიმატურ კურორტებზე უნდა იყოს შენობა-ნაგებობები ბალნეოთერაპიული და კლიმატოთერაპიული პროცედურების ჩასატარებლად. ბალნეო-კლიმატურ საკურორტო ადგილზე სამკურნალო ბუნებრივი ფაქტორები გამოიყენება სათანადო ინფრასტრუქტურისა და ექიმთა რეკომენდაციების გარეშე.

საქართველოში ბალნეო-კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები ძირითადად მდებარეობენ დაბალი და საშუალო მთის ქვედა სარტყლის პირობებში (სააკაშვილი, თარხან-მოურავი, ტაბიძე, & ქუთათელაძე, 2011).

ბალნეო-კლიმატური კურორტებიდან აღსანიშნავია, **გორიჯვარი** ბალნეო-კლიმატური კურორტია გორის რაიონში. გეოგრაფიულად მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთის მთისწინეთში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 600-650 მ. კლიმატი – დაბალი მთის, ზომიერად მშრალი. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა –1,2^{0}C. ზაფხული ძლიერ თბილი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,3^{0}C. ნალექების წლიური რაოდენობა – 498 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები და დაბალი მთის ჰავა. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

ვაჟას წყარო ბალნეო-კლიმატური კურორტია დუშეთის რაიონში. მდებარეობს – დიდი კავკასიონის შუამთის ზონაში, დაბა ჩარგალთან ზღვის დონიდან 820-840 მ. კლიმატი – დაბალი მთის. ზამთარი ცივი, საკმაოდ თოვლიანია (იანვრის საშუალო ტემპერატურა - 4,7^{0}C). ზაფხული თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 18,6^{0}C). ნალექების წლიური რაოდენობა – 1000 მმ. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა, ნახშირმჟავა, კაჟიანი, ბორიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-რკინიანი მინერალური წყლები, ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-კალციუმიანი (და კალციუმიან-ნატრიუმიანი), რკინიანი მინერალური წყლები. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

უწერა ბალნეო-კლიმატური კურორტია ონის რაიონში. მდებარეობს - დიდი კავკასიონის მთავარი (წყალგამყოფი) ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე რიონის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1150 მ. კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი (იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5^{0}C), ზაფხული ზომიერად თბილი, (აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17^{0}C). ნალექების წლიური რაოდენობა – 1495 მმ.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და სამი ტიპის მინერალური წყალი: ნახშირმჟავა, რკინიანი, ბორიანი, ჰიდროკარბონატული,

ნატრიუმიანი (და კალციუმიანი) მინერალური წყლები, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი (ან კალციუმიან-ნატრიუმიანი) მინერალური წყლები, ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმ-კალციუმიანი მინერალური წყლები.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია (სააკაშვილი, თარხან-მოურავი, ტაბიძე, & ქუთათელაძე, 2011).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კურორტების განვითარება დაიწყო 1919 წლიდან, როდესაც საბჭოთა კავშირმა გამოსცა დეკრეტი სამკურნალო ობიექტების სახელმწიფოებრივი დანიშნულების შესახებ, ხოლო საქართველოში 1921 წლის 20 მაისის დეკრეტით რესპუბლიკის ყველა სამკურნალო ადგილი და კურორტი სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. 1921 წლიდან სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრასთან ბალნეოლოგიური განყოფილების გახსნით დაიწყო გეგმიური საკურორტო მშენებლობა (კვაშილავა-ცეკვავა & აფროდიტა, 2011).

თუმცა დღეს კურორტების საკმაოდ დიდი ნაწილი კვლავ მიტოვებული, ინფრასტრუქტურა დაბალ დონეზეა, ასევე არასაკმარისადაა განვითარებული სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელი, შედეგად, ფერხდება ტურისტების უზრუნველყოფა თავშესაფრით. ამავე დროს, არსებული კერძო სასტუმროების მომსახურების დონე დაბალია, რაც ხშირად ტურისტების უკმაყოფილების მიზეზი ხდება. ყოველივე ეს კი ხელს უშლის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებას კურორტებზე.

1.3 სამკურნალო ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციები

სამკურნალო ტურიზმის ორგანიზაციები ხელს უწყობენ სამკურნალო ტურიზმის განვითარებას და უზრუნველყოფენ პაციენტების უსაფრთხოებას იმ საავადმყოფოების აკრედიტაციით, რომლებიც ჩართულნი არიან სამკურნალო ტურიზმში

სამკურნალო ტურიზმის ძირითადი ორგანიზაციებია:

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (World Health Organization - WHO)

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური დაწესებულება. მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1948 წელს. მასში გაერთიანებულია 194 სახელმწიფო, მათ შორის საქართველო 1992 წლიდან. ორგანიზაციის მიზანია მსოფლიო ხალხების ჯანმრთელობის მაღალი დონის მიღწევა. აღნიშნულის განხორციელებას ემსახურება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტრატეგია „ჯანმრთელობა ყველასათვის 21-ე საუკუნეში“, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წელს. აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს ადამიანთა ჯანმრთელობის ისეთი ხარისხის მიღწევას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველა ადამიანს, იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით. ჯანმრთელობა აღიქმება, როგორც ადამიანური განვითარების უმთავრესი კომპონენტი (World Health Organization)

ევროპის სამკურნალო და სამედიცინო ტურიზმის ასოციაცია (European Health and Medical Tourism Association)

ევროპის სამკურნალო და სამედიცინო ტურიზმის ასოციაციის მთავარი მისიაა თავი მოუყაროს იმ ადამიანებს რომლებიც დაინტერესებული არიან სამკურალო და სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიით.

ძირითადი მიზნებია:

- ხელი შეუწყოს ევროპაში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას;
- პირველ პლანზე წამოწიოს ეთიკა და პროფესიონალიზმი სამკურნალო და სამედიცინო საზოგადოებაში;

- დაიცვას მიმწოდებელსა და პაციენტს შორის არსებული ურთიერთობის უსაფრთხოება;
- დაიცვას იმ პაციენტის ინტერესები, რომელიც მოგზაურობს;
- მონაწილეობა მიიღოს ინდუსტრიის, სტანდარტებისა და აკრედიტაციის ზრდაში;
- ხელი შეუწყოს უმაღლესი ხარისხის ჯანდაცვის სტანდარტების დამკვიდრებას სამედიცინო მოგზაურობისას;
- შექმნას ერთიანი საინფორმაციო სისტემა;

სამედიცინო დახმარების საერთაშორისო ასოციაცია (International Association for Medical Assistance - IAMAT)

სამედიცინო დახმარების საერთაშორისო ასოციაცია არის არაკომერციული ორგანიზაცია. 1960-იანი წლების შემდეგ IAMAT ლიდერია სამედიცინო ტურიზმის დარგში, მოგზაურთათვის ჯანდაცვის რისკებისა და დაავადებების გეოგრაფიულ განაწლების შესახებ ინფორმირებაში. მისი მიზანია უზრუნველყოს მოგზაურების ჯანმრთელობაზე კომპეტენტური ზრუნვა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, თუნდაც შორეულ ადგილებში, იმ ექიმების მიერ, რომლებიც საუბრობენ ინგლისურად და აქვთ მიღებული შესაბამისი სამედიცინო განათლება ჩრდილოეთ ამერიკას ან ევროპაში.

საერთაშორისო სამედიცინო თარჯიმნების ასოციაცია (International Medical Interpreters Association - IMIA)

საერთაშორისო სამედიცინო თარჯიმნების ასოციაცია ვალდებულებას იღებს პროფესიონალური სამედიცინო თარჯიმნების ჩამოყალიბებაზე, რათა ლინგვისტურად მრავალფეროვანი პაციენტების მომსახურება უფრო გამარტივდეს. ასოციაცია დაარსდა 1986 წელს, მასში გაწევრიანებულია 1,500 მეტი სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ პაციენტების სამედიცინო მომსახურებას 70-ზე მეტ სხვადასხვა ენაზე.

ასოციაციის მიზანია შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

- განსაზღვროს საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამედიცინო თარჯიმანთათვის;
- ჩამოაყალიბოს პროფესიული ნორმები და სტანდარტები;
- ხელი შეუწყოს პროფესონალური თარგმნის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას სამედიცინო დაწესებულებებსა და მასთან დაკავშირებულ სააგენტოებში;

ასევე, ასოციაცია მიზნებია:

- გამოაქვეყნოს სამედიცინო გამოცემები, ბიულეტენები, ლექსიკონები, ანგარიშები და სხვა მსგავსი პუბლიკაციები;
- გამართოს პერიოდული შეხვედრები;
- დაამკვიდროს და უზრუნველყოს სამედიცინო თარჯიმნების სერტიფიცირების პროცესის შემდგომი განვითარება;
- ითანამშრომლოს უნივერსიტეტებთან, ფონდებთან, სამთავრობო უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან ტრენინგებისა და გრძელვადიანი პროექტების განხორციელების მიზნით;

ერთობლივი კომისია და ერთობლივი კომისიის რესურსები (The Joint Commission and Joint Commission Resources - JCR)

კომისიის მიზანია, მუდმივად გააუმჯობესოს პაციენტების უსაფრთხოება ჯანდაცვის ყველა სფეროში. 2005 წლის აგვისტოში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) ერთობლივი კომისია და ერთობლივი საერთაშორისო კომისია დაასახელა როგორც WHO-ს მთავარი ინიციატივის ნაწილი - პაციენტის უსაფრთხოების მსოფლიო ალიანსი. ჯანდაცვის სამინისტროებთან, პაციენტების უსაფრთხოების ეროვნულ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით JCR საერთაშორისო ყურადღების ცენტრში აქცევს პაციენტების უსაფრთხოების პრაქტიკას და სხვადასხვა ინიციატივებს, რომლებიც ამცირებენ რისკებს და ეფექტურ კოორდინაციას უწევენ უსაფრთხოების საკითხებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

სამედიცინო ტურიზმის ასოციაცია / გლობალური ჯანმრთელობის ასოციაცია (Medical Tourism Association / Global Health Association)

სამედიცინო ტურიზმის ასოციაცია საერთაშორისო, არაკომერციული ორგანიზაციაა, იგი მოიცავს საერთაშორისო საავადმყოფოებს, სადაზღვევო, ჯანდაცვის სამედიცინო და სხვა შვილობილ კომპანიებს, რომელთაც აერთიანებთ ერთი მიზანი - ხელი შეუწყონ უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას საერთაშორისო დონეზე (Jyothis, 2009);

1.4 საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის სფეროში არსებულ ურთიერთობებს;

საქართველოს კანონმდებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" საქართველოს კანონის, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების შესახებ" საქართველოს კანონისა და მათ შესაბამისად მიღებული სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

„ტურიზმისა და კურორტების შესახებ" საქართველოს კანონში სამკურნალო ტურიზმი ასეა განმარტებული:

„კურორტების გამოყენება მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად."

საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტის შესახებ", 1997 წლის 6 მარტი, მუხლი 2.

ხოლო კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ" განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს.

ამ კანონის მიზანია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით სანიტარული დაცვის ზონების დადგენა.

საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილებისათვის დგინდება სანიტარული დაცვის ზონები, სადაც აკრძალულია სამუშაოები, რომლებიც აბინძურებს ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ზიანს აყენებს ტყეებსა და სხვა მწვანე ნარგავებს, იწვევს ეროზიულ პროცესებს, უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივ სამკურანლო რესურსებზე და კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ მდგომარეობაზე.

სანიტარული დაცვის ზონები დგინდება ყველა კურორტისა და საკურორტო ადგილისათვის რამდენიმე კურორტისა და საკურორტო ადგილში ერთი ან მეტი ერთმანეთთან დაკავშირებული მინერალური წყლის საბადოს, მიმდებარე პლაჟისა და სხვა სამკურნალო რესურსის გამოყენებისას შეიძლება დადგინდეს ერთიანი სანიტარული დაცვის ზონები.

საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილებისათვის დგინდება სანიტარული დაცვის სამი ზონა: მკაცრი, შეზღუდული რეჟიმისა და სამეთვალყურეო (ყუფარაძე, 2015).

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნლოვანეს მარეგულირებ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს კურორტებისა და საკურორტო ადგილების დაცვას, აწესებს სანიტრულ ნორმებს რათა თავიდან აიცილოს ბუნებრივი გარემოს გამოფიტვა და დაზიანება, თუმცა რამდენად შეესაბამება ეს კანონი დღევანდელ რეალობას უკვე მეორე საკითხია.

თავი II. სპა ტურიზმი, როგორც სამკურნალო ტურიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება

ცნებებმა ჯანმრთელობა და გაჯანსაღება არსებითი მნიშვნელობა შეიძინეს ტურიზმის კვლევებში. ჯანსაღი ცნობიერების მქონე აქტიურმა ადამიანებმა შეიმეცნეს რა, რომ მოგზაურობისას მნიშვნელოვანია მიიღო როგორც სულერი და გონებრივი ჰარმონიზაცია, ისე სხეულის სიჯანსაღე, დაიწყეს ისეთი ტურისტული პაკეტების არჩევა, რომელიც ამ მიზნის განხორციელებაში დაეხმარებათ. აქედან გამომდინარე, წლიდან წლამდე პოპულარობას იძენს სპა ინდუსტრია. სპა ტურიზმი სამკურნალო ტურიზმის ერთ-ერთი განშტოებაა, რომელიც სამედიცინო და ველნეს ტურიზმს შორის არის მოქცეული. უკანასკნელ პერიოდში სპა ტურიზმი მნიშვნელოვანი მარკეტინგული სტრატეგია გახდა ტურისტების მოსაზიდად. იგი არსებით როლს თამაშობს სასტუმროებში, კურორტებსა და ტურისტული დანიშნულების ადგილებში. თანამედროვე სპა სასტუმროებში არის ფიტნეს ოთახების, სილამაზის სალონების, ერთ ან მეტ საცურაო აუზის ასევე, სპა ცენტრების ერთობლიობას, რომლებიც სტუმრებს სთავაზობენ წყლის სხვადასხვა პროცედურას, თალასო, ჰიდრო და ბალნეო თერაპიებს. დღეს სპა წარმოადგენს სილამაზისა და ჯანმრთელობის მთელ ინდუსტრიას, რომელიც მიზნად ისახავს ნერვული დაავადებების მკურნალობას, ჭარბი წონის წინააღმდეგ ბრძოლას, კეთილდღეობასა და გაახალგაზრდავებას. (Jusoh, Hashemi, Jusoh, Kiumarsi, & Mohammadi, 2015).

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით, მკურნალობა და რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული მოტივაციაა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში რეკრეაციული ვიზიტების რაოდენობა 10%-ით გაიზარდა მსოფლიოში. „ჯანმრთელობისთვის მოგზაურობაზე“ მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება. ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდა ტურისტმა აირჩიოს სად, რომელ ქვეყანაში და რომელ კლინიკაში იმკურნალოს სხვადასხვა დაავადება და გაიკეთოს ოპერაციებიც. მეორე მხრივ, იზრდება მოთხოვნა ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებზე, სპა პროცედურებსა და სანატორიუმში მკურნალობაზე. დღევანდელი ცხოვრების რიტმი თავად გვაიძულებს ვიფიქროთ ჩვენი ორგანიზმის კარგ ფიზიკურ ფორმაზე, ხოლო თავისუფალი დროის დეფიციტი კი გვიბიძგებს შევათავსოთ დასვენება და ჯანმრთელობის პროფილაქტიკა. სპა კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის სულიერ და ფიზიკურ

განვითარებაზე, გვევლინება როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად. ადრე ითვლებოდა, რომ სპა იყო ფუფუნება, რომლითაც მხოლოდ მდიდრებს შეეძლეთ სარგებლობა, თუმცა ამჟამად ინფორმატიულობისა და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში სპა კურორტები სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი ასაკისა და სოცილაური სტატუსის მქონე მოგზაურთათვის. განვითარებულ ქვეყნებში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი შედგება ორი კომპონენტისგან: პირველი, სამედიცინო დახმარების მიღება სპეციალიზებულ დაწესებულებებში (პანსიონატები, სანატორიუმები, კლინიკები) და მეორე, ტურისტული მოგზაურობის ორგანიზება კურორტებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით (Сычева, 2015).

2015 წლის მონაცემებით, 120 000 სპა ცენტრი იყო მსოფლიო მასშტაბით, რაც დაახლოებით $99 მილიარდი დოლარის შემოსავალს წარმოადგენდა. შეერთებული შტატები უდიდესი სპა ბაზარია, 21 000 სპა ობიექტით და $16 მილიარდი დოლარის შემოსავლით. თუმცა, მოთხოვნა სპაზე იზრდება არა მხოლოდ აშშ-ში არამედ მთელ მსოფლიოში. ჯამში 210 ქვეყანაა, სადაც სპა ინდუსტრია წარმატებით ფუნქციონირებს, ძირითადად აზია-ოკეანეთის, ევროპისა და აშშ-ის ქვეყნებში. 2015 წელს ევროპა შემოსავლები მიხედვით ლიდერი იყო სპა ინდუსტრიაში ($27.5 მილიარდი). აზია-ოკეანეთი უძველესი სპა კურორტების სამშობლოა და გამოირჩევა ახალი კურორტების დიდი რაოდენობით, 2013 წლიდან შემოსავლების მიხედვით ლიდერობს ჩინეთი, რომელმაც გერმანიასა და იაპონიას გაუსწრო და მეორე ადგილი დაიკავა აშშ-ის შემდეგ, მაშინ როცა ტაილანდმა პირველად $1 მილიარდს გაადააჭარბა. ზრდა შეინიშნება განვითარებადი ქვეყნების ბაზარზეც, ამ მხრივ გამოირჩევა ინდოეთი, ინდონეზია, ვიეტნამი (Schmidt, 2017).

სამი წამყვანი რეგიონის გარდა სპა ინდუსტრია ძლიერდება აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

2015 წელს სპა ინდუსტრიაში ჩართული იყო 2.1 მილიონი ადამიანი. 2013 წლიდან სპა ინდუსტრიამ დაახლოებით 237,424 სამუშაო ადგილი შექმნა გლობალურ ეკონომიკაში. ამ მხრივ, სხვა რეგიონებთან შედარებით, აზია იყო ლიდერი (100 000-ზე მეტი ადამიანი).

2.1 სპა პროცედურები, მათი კლასიფიკაცია და განვითარების ეტაპები მსოფლიოში

მიუხედავად იმისა, რომ ბალნეოლოგიას, მინერალური წყლებისა და ტალახების გამოყენებას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და ის თითქმის უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს, სპა, ალბათ, მაინც ახლგაზრდა ინდუსტრიაა. ყოველ შემთხვევაში იმ გაგებით, რომელსაც დღეს ვდებთ ამ ტერმინში.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სპა, როგორც ნებისმიერი სხვა განვითარებადი დარგი, მუდმივად იცვლებოდა, ხან ერგებოდა გარკვეულ ეკონომიკურ სიტუაციებს, ხან კლიენტების ახალ მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებს. ზოგჯერ კი თვითონ ხდებოდა მოდის მკარნახებელი, როცა ზუსტად იჭერდა ადამიანების ნება-სურვილს, რათა მათ შეეცვალათ ცხოვრების წესი და ჩვევები. ის ვინც გადაწყვეტს ჩაერთოს ამ ინდუსტრიაში, შექმნას და მართოს სპა-საწარმო, ვალდებულია კარგად იცოდეს ამ დარგის განვითარების ისტორიაც და ჰქონდეს უნარი განჭვრიტოს მომავალი.

რაც შეეხება ისტორიას. თავიდან ეს მაგიური სამი ასო იშიფრებოდა, როგორც იმ ადგილის სახელი, სადაც ადამიანებს სთავაზობდნენ გამაჯანსაღებელ პროცედურებს მინერალური წყლის გამოყენებით. ამ დროს სპას ჰქონდა რაღაც გაუგებარის, უცნაურის, ძვირის, ყველასთვის არ- და ვერმისაწვდომის, მაგრამ ძალიან მიმზიდველის რეპუტაცია. სიტყვა სპა წარმოიშვა ბელგიის კურორტისაგან SPA. სპას სამკურნალო სააბაზანო პოპულარული გახდა მე-16 საუკუნეში, ხოლო მე-18-19 საუკუნეში უკვე ევროპელთა საყვარელ კურორტადაც გადაიქცა. აქ რამოდენიმე სახის წყაროა, რომლებიდანაც გადმოედინება ცივი, რკინაშემცველი და მცირედ რადიაქტიური მინერალური წყალი. საიდან წარმოიშვა ქალაქის სახელი? არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ერთ-ერთი თეორიის

მიხედვით SPA წარმოშობილია გერმანული სიტყვისაგან speien, 7 spucken, რაც ნიშნავს ამოფურთხებას, ამოფრქვევას. ასე ეწოდებოდა თავდაპირველ დასახლებას, რომელიც აქ მე-14 საუკუნეში წარმოიშვა. ამ კურორტის დასახელებიდან წარმოიშვა ტერმინი სპა, რაც ნიშნავს წყლის პროცედურების კომპლექსს, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. დღეს კიდევ ახალი აზრი შეიძინა ამ ტერმინმა და ასე უწოდებენ სასტუმროების Wellness-ოაზისებს. ხშირად წააწყდებით SPA-ს განმარტებას, რომ ეს არის ლათინური სიტყვათა წყობის sanus peraquam-ის აბრევიატურა, რაც „წყლის საშუალებით ჯანმრთელობას“ ან „ჯანმრთელობას წყლის მეშვეობით“ ნიშნავს. თუმცა, ეს ვერსია ნაკლებ დასაჯერებელია, რადგან ლათინური ენის გრამატიკა არ უშვებს სიტყვათა ასეთ კომბინაციას. sanus ნიშნავს არა „ჯანმრთელობას“, არამედ „ჯანმრთელს“, ხოლო თუ ვთარგმნით „ჯანმრთელობა წყლის მეშვეობით“, მაშინ ლათინურად მივიღებთ aquae vi sanus, aqua sanatus (ყუფარაძე, 2015).

დღეს, SPA-ს გაგება საკამოდ ფართოა. ის არის ცხოვრების წესი, მომსახურების კომპლექსი, რომლის მიზანია გაჯანსაღება და ზოგადი თვითშეგრძნების გაუმჯობესება. SPA - ეს არის გამაჯანსაღებელი პროცედურების კომპლექსი, რომლისთვისაც იყენებენ ზღვის, თერმულ მინერალურ ან მტკნარ წყალს, წყალმცენარეებს, სამკურნალო მცენარეებს და სამკურნალო ტალახებს. სპა–ს ასევე მიაკუთვნებენ ფიტნეს პროგრამებს, დიეტურ პროგრამებს, რეგენერაციის პროგრამებსა და სხეულისა და სახის კანის გაახალგაზრდავების პროგრამებს. ამასთან, სპა აღნიშნავს კურორტებს, რომლებზეც წყლით მკურნალობაა დანერგილი. სპას, ასევე, მიეკუთვნება:

- საუნა (კლასიკური ფინური საუნა, ორთქლის აბაზანები);
- ბანაობა (ღია აუზში, დახურულ აუზში, ჯაკუზიში, მარილიან აბაზანაში);
- ფიტნესი (არაძალისმიერი ვარჯიშები, კარდიოვარჯიშები, ტანვარჯიში);
- კლასიკური მასაჟები (სახის მასაჟი, წერტილოვანი მასაჟი, მანიკიური და პედიკიურიც კი);
- მედიტაცია და იოგა.

არსებობს სპას სხვადასხვა კატეგორიები:

- სპა კლინიკა;
- სპა ცენტრი;
- სპა სასტუმრო (სპა ოტელი);
- სპა კოსმეტიკა

სპას მთავარი მიზანია კლიენტის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ის ეხმარება ადამიანებს გადალახონ დაძაბულობა, თავიდან აიცილონ სტერსული ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურთან, ოჯახურ პრობლემებთან და მხოლოდ შემდეგაა სხეულის სრულყოფა, გაახალგაზრდავება, ესთეტიური პრობლემების გადაჭრა. ერთგვარ რუბიკონად და ახლი ათვლის წერტილად სპა-ინდუსტრიისათვის იქცა 2008-2009 წლები. მაშინ, გლობალური ფინანსური კრიზის ფონზე, კლიენტების რაოდენობის მრავალწლიანი სტაბილური ზრდის შემდეგ დაიწყო მათი რიცხვის მკვეთრი კლება. ბევრი სპა-ცენტრი და სპა-სალონი საერთოდ დაიხურა კიდეც. ეს იყო დარგისთვის კატასტროფა, რომელმაც გამოაჩინა ახალი ტენდენციები. ისინი ასახავდნენ დღევანდელი ეკონომიკის არამდგრადობას, ბიზნესის დაცვის დამატებითი მექანიზმების შექმნას და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისადმი ახალი მიდგომების დანერგვას. სპა-ინდუსტრიის მოთამაშეებმა უნდა იცოდნენ, რა ხდება ამ სექტორში, უნდა შეეძლოთ შეიგრძნონ ცვლილებების სიო, რათა სწორად შეარჩიონ სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებები და დროულად მიმართონ ბიზნესი საჭირო კალაპოტში, თითოეულ კლიენტს შესთავაზონ ის, რაც მათ სჭირდებათ იმ კონკრეტულ მომენტში (ყუფარაძე, 2015).

2.2 სტანდარტული და ეგზოტიკური სპა პროცედურები

სპა პროცედურების მიზანია გაჯანსაღება და ორგანიზმის რელაქსაცია. სპა პროცედურებში გამოყენებული საშუალებები კანიდან შეწოვის გზით დადებითად

მოქმედებენ ორგანიზმზე, აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლასა და სისხლისმიმოქცევას, გამოაქვთ ორგანიზმიდან შლაკები და ტოქსინები. სპა პროცედურების შემდეგ მნიშვნელოვნად უმჯობესდება სახისა და სხეულის კანის მდგომარეობა. ზოგადი თვითშეგრძნება უმჯობესდება, ადამიანი ტონუსშია და კარგ ხასიათზე დგება.

ზოგადად, ცნობილია, რომ წყლის პროცედურები დადებით გავლენას ახდენს ორგანიზმზე, რომელიც განვითარებას, სწორედ, წყლის გარემოში იწყებს. წყალში ყოფნისას ხდება კანისა და კუნთების ბუნებრივი მასაჟი, იწმინდება საოფლე ჯირკვლები, კანისმიერი სუნთქვა აქტიურდება და ა. შ.

წყალში ადამიანის წონა მცირდება, მოძრაობები თავისუფალი და მსუბუქია, უმჯობესდება სისხლისმიმოქცევა, თავის ტვინს მიეწოდება მეტი ჟანგბადი. ჩაყვინთვისას, ბუნებრივია, ადამიანი იკავებს სუნთქვას, ხოლო ეს იწვევს ენდორფინის, ე.წ. სიხარულის ჰორმონის კონცენტრაციის მატებას.

ჰიდრომასაჟი (აბაზანა, აუზი) იწვევს კანზე არსებული ნერვული დაბოლოებების წერტილების სტიმულაციას. გარდა ამისა, წყალში კანის ფორები ღიაა და ადვილად ხდება სხვადასხვა ნივთიერების შეწოვა. გარედან შეღწევის გარდა, ფორებიდან გამოდის ტოქსინები და მავნე ნივთიერებები, რომელთაც წყალი შთანთქავს.

სპა-საუნა

სპა–საუნაში ან სპა–ორთქლის აბანოში კანის ფორები იხსნება მაქსიმალურად და შლაკები გამოდის გარეთ. სპა–სალონებში საუნის მიღებას შემოგთავაზებენ მასაჟის ან წყალმცენარეების შემოხვევის წინ, რათა ძირითადი პროცედურისათვის ფორები იყოს უკვე გახსნილი, ხოლო სხეული გამთბარი. სპა-საუნა არომატული ზეთებით, თაფლით, სპა–პილინგით ძალიან სასიამოვნო პროცედურებია.

საუნის მოქმედების ძირითადი მექანიზმი თერმორეგულაციის შეცვლა და ოფლის გამოყოფაა. ასევე, შესწავლილია საუნის დადებითი ზემოქმედება ნერვულ სისტემაზე. საუნის შემდეგ მატულობს რეაქციის სისწრაფე, უმჯობესდება კოორდინაცია და

ბალანსირება, ადამიანი გუნება–განწყობა და ხასიათი დადებითისაკენ იცვლება. სპა საუნა ამცირებს კუნთების ტონუსს. ისინი უფრო ელესტიური ხდება და მათი ტკივილი და დაძაბულობა მცირდება. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი კანზე სპა-საუნის მოქმედებაა. მაღალი ტემპერატურის გამო მატულობს სისხლის მოდინება კანთან. მის ზედაპირთან ტემპერატურამ შეიძლება 41-42 გრადუსსაც მიაღწიოს. სისხლძრღვები ფართოვდება, ეპიდერმისი რბილდება, კანი უფრო მგრძნობიარე ხდება და მატულობს მისი იმუნო–ბიოლოგიური თვისებები. ასევე, უმჯობესდება კანის ფერი, ხელით შეხებისას ის გაცილებით ნაზი და რბილია.

საუნა ხელს უწყობს წონის მოკლებას. მისი ერთჯერადი მონახულებისას სხეულის მასა დაახლოებით 2%–ით მცირდება. განსაკუთრებით ეფექტურია სპა საუნის მიღება, თუ მის შემდეგ მასაჟს გიკეთებენ.

გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ადამიანთა უმრავლესობას არ რჩება დრო სპორტისათვის. დატვირთვების მიხედვით საუნა შეესაბამება აქტიურ სირბილს ან აერობიკას. მაგრამ საუნის მიღება ყველასათვის არ შეიძლება. ამ პროცედურამდე აუცილებელია გაესაუბროთ პირად ექიმს ან სპა სალონის ექიმს. თუ კი თქვენთვის ჩვეულებრივი საუნით სარგებლობა არ არის რეკომენდირებული ასეთ შემთხვევებში გამოსავალი ინფრაწითელი საუნაა.

ინფრაწითელი საუნა დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. იგი განსხვავდება ჩვეულებრივი საუნისაგან. ამ შემთხვევაში ადამიანი სხეული ცხელდება ინფრაწითელი გამათბობლების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რბილ, გამაჯანსაღებელ სითბოს.

ჩვეულებრივ ორთქლის აბანოებსა და საუნებში ჯერ ხდება ქვების გაცხელება, რომლებიც შემდეგ აცხელებენ ჰაერს. ცხელი ჰაერი კი ათბობს სხეულს. ინფრაწითელ საუნაში სითბო გადაეცემა ინფაწითელი ტალღებით, რომლებიც აღწევენ ორგანიზმში და ათბობენ მას.

მართალია საუნას ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია ორგანიზმისათვის მაგრამ იმათ, ვისაც კანის დაავადებები აწუხებს (ალერგია, სოკო, ჰერპესი), ურჩევნიათ წყლის პროცედურები აბაზანაში გააკეთონ. ამ ტიპის აბაზანებში წყლის ჭავლი და წყლის ნაკადი ახდენს სხეულის მასაჟს. წყლის ნაკადები იწვევენ ტკივილის შემცირებას, კუნთების მოდუნებას. ამ პროცედურისას ადამიანის ორგანიზმზე ხდება უმტკივნეულო ტემპერატურული და მექანიკური ზემოქმედება. უმჯობესდება სისხლისმიმოქცევა, სტაბილიზირდება ლიმფის მოძრაობა და ჩქარდება ანთებითი პროცესის ნარჩენი მოვლენების ალაგება (გაწოვა).

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

კლეოპატრას აბაზანა. ამ აბაზანის მოსამზადებლად იყენებენ თაფლს, რძეს, პიტნის ეთერის ზეთს და ნუშის ან ზეითუნის ზეთს. ჰიდრომასაჟურ აბაზანაში აგროვებენ თბილ წყალს, რომელშიც ხსნიან ზემოჩამოთვლილ ნარევს. მისის ზემოქმედების შედეგად ფორები იხსნება, შლაკები და ტოქსინები გარეთ გამოიდევნება, ხოლო მკვებავი ნივთიერებები კი შეიწოვება. კანი ხდება რბილი, ტენიანი, აბრეშუმივით ნაზი და 12 ხავერდივით სასიამოვნო. ასეთი აბაზნის მიღება რეკომენდებულია თვეში ორჯერ;

მარგალიტის აბაზანა. მიუხედავად დასახელებისა, აბაზანაში მარგალიტები არ არის. აბაზანის ძირზე იდება წვრილი ბადე, რომლის გავლითაც წყალში დიდი წნევით შემოდის ჰაერი. ჰაერის ბურთულაკები ეკვრიან მთელს სხეულს და იწვევენ მის მოდუნებას. კანი მდიდრდება ჟანგბადით. მას ანტისტესულ და რელაქსაციის გამომწვევ იმ აბაზანათა რიცხვს მიაკუთვნებენ, რომელთა დროსაც იხსნება დაძაბულობა, უმჯობესდება ძილი და ნორმალიზდება წნევა;

ტალახის სპა აბაზანები. იყენებენ ყველა თანამედროვე სპა ცენტრში. ტალახის აპლიკაციები ამცირებენ ტკივილს და აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. ექიმის დანიშნულებით მას იყენებენ საყრდენ–მამოძრავებელი სისტემის, კუნთების, პერიფერიული ნერვული სისტემის, ქალთა სასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ.

ძალიან სასარგებლოა კონტრასტული სპა პროცედურები. კონტრასტულ შხაპში ცივი და ცხელი წყლის მონაცვლეობა იწვევს სისხლისმიმოქცევის ხასიათის შეცვლას. სისხლი ხან კანისაკენ მიედინება, ხოლო ხან სხეულის ცენტრისკენ. იგივე ეფექტი აქვს კონტრასტულ სპა აბაზანებასაც.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპა პროცედურაა წყალმცენარის აბაზანები, რომელიც, როგორც წესი, შედის ყველა ანტისტრესულ და ანტიცელულიტურ პროგრამაში. წყალმცენარეები ძალიან მდიდარია სხვადასხვა ვიტამინებით, მინერალებითა და მარილებით. ეს პროცედურები ხელს უწყობს სისხლიმიმოქცევის და ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას, ასევე ატენიანებენ კანს და ახდენენ მატონიზირებელ ეფექტს.

თითქმის ყოველთვის, წყალმცენარის აბაზანა შედის გარკვეული პროცედურების კომპლექსში. როგორც წესი, ეს არის ანტიცელულიტური, ანტისტრესული პროგრამები და კანის მოვლის პროგრამები. ერთ–ერთი ყველაზე 13 გავრცელებული ანტიცელულიტური პროგრამაა. ცელულიტი თანამედროვე ქალბატონებისათვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ითვლება და მის საწინააღმდეგო აბაზანებსა თუ მასაჟებს თითქმის ყველა სპა სალონში შემოგთავაზებენ (ყუფარაძე, 2015).

სპა პროცედურებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია მასაჟი რომელსაც თითქმის ყველა სპა ცენტრში შემოგთავაზებენ. მასაჟი უძველესი სამკურნალო საშუალებაა. მას პირველყოფილი ადამიანებიც კი მიმართავდნენ, მართალია, ინსტინქტურად, მაგრამ ამ მოძრაობებს მათთვის სიამოვნება და შვება მოჰქონდა. მასაჟი, როგორც სამკურნალო მეთოდი, ყველაზე ადრე წყნარი ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებმა გამოიყენეს. საინტერესოა თავად ტერმინ "მასაჟის" წარმომავლობაც. ერთნი მიიჩნევენ, რომ ის არაბული "Mass"-იდან ან "Masch"-დან წარმოდგება და „ნაზ ზეწოლას“, „შეხებას“ ნიშნავს, მეორენი ბერძნული "Masso"-დან წამოსულად თვლიან, რაც „ხელის მოჭერას“ ნიშნავს, მესამენი ფიქრობენ, რომ იგი ლათინური "Massa"-ა, რაც „თითებით მიწებების“ აღმნიშვნელია. ინდოელებმა პირველებმა გამოიგონეს ორთქლის მასაჟი. სააბაზანოში, სადაც პროცედურა უნდა ჩატარებულიყო, გავარვარებულ ფილებზე ასხამდნენ სპეციალურ ნივთიერებას, იგი

ორთქლდებოდა და ადამიანის კანში აღწევდა. კანის საკმარისად დატენიანების შემდეგ იწყებოდა მასირება: ჯერ მოდუნებული კუნთების, შემდეგ კი მუცლისა და მკერდის. პროცედურა ზურგის მასაჟით სრულდებოდა. თანამედროვე მედიცინაში მასაჟი ადამიანის სხეულის ნაწილების თანაბარზომიერი მექანიკური გაღიზიანებაა, რომელიც ხორციელდება მასაჟისტის ხელით ან სპეციალური აპარატებისა და მოწყობილობების დახმარებით. მასაჟი ქსოვილებზე მხოლოდ მექანიკურ გავლენას როდი ახდენს - იგი ერთვება რთულ ფიზიოლოგიურ პროცესებში, სადაც წამყვან როლს ცენტრალური ნერვული სისტემა თამაშობს (ჭავჭავაძე, 2009).

დღეისათვის სპა პროცედურები იმდენად გავრცელდა, რომ სტანდარტული და კლასიკური ფორმებით ვეღარავის გააკვირვებთ, ამიტომ ბევრი სპა ცენტრი დასვენებისა და გაჯანსაღების ახალ-ახალ ფორმებსა და ეგზოტიკურ სახეებს სთავაზობს მომხმარებელს. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ასეთი პროცედურები საკმაოდ ძვირია (2-3–ჯერ ან მეტჯერაც კი ვიდრე მაგ. ჩვეულებრივი მასაჟი) და ყველა სალონში მათ არ შემოგთავაზებენ. თუმცა, ეს არაჩერებს ეგზოტიკის მოყვარულებს, რომლებიც მზად არიან ქვეყნის კიდეშიც კი წავიდნენ ახალი შეგრძნებების მისაღებად.

საინტერესო იქნება გავეცნოთ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ეგზოტიკური სპა პროცედურებს:

გველების მასაჟი. ამ დროს, რა თქმა უნდა, გამოიყენება არაშხამიანი ქვეწარმავლები, რომლებიც დასრიალებენ (დაცოცავენ) სხეულის რაღაც ნაწილზე, მაგ. ზურგზე და ქმნიან ჯაკუზის ეფექტს. ანუ ეს პროცედურა ამცირებს კუნთების ტკივილს და ხსნის დაძაბულობს მთელ სხეულზე;

მშიერი ლიფსიტების აბაზანა. ეს პროცედურა ჩინეთში გამოიგონეს და შემდეგ მთელს მსოფლიოში გახდა პოპულარული. სხვანაირად მას თევზის პილინგს უწოდებენ. არსი შემდეგშია: კლიენტს ათავსებენ მშიერი გარა რუფას ლიფსიტებით სავსე აუზში. ცხელ წყალში კანი მალე ლბება და თევზები იწყებენ კანის მკვდარი უჯრედების ჭამას. შეგრძნება მსუბუქ ჩხვლეტებს მოგაგონებთ;

ოქროს ნიღაბი. აღნიშნული პროცედურა კი იაპონიაშია გამოგონილი. ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, რადგან ადამიანის სახე ან სხეული იფარება ნამდვილი 24 კარატიანი ოქროს შემცველი ხსნარით, რომელიც რაღაც დროის შემდეგ მაგრდება. ასეთი ნიღაბი აცილებს ნაოჭებს, ათეთრებს კანს და ანიჭებს მას სირბილესა და სინატიფეს. პროცედურა რამდენიმე საათს გრძელდება;

ხიზილალის ნიღაბი. ეს პროცედურები ძირითადად იტალიასა და ინგლისშია პოპულარული. მაგ. Rome Cavalieri Hilton's Grand Spa სთავაზობს კლიენტებს წითელი ხიზილალის შეზელვებს, როცა მთელი სხეული ან მისი რომელიმე ნაწილი იფარება ამ ძვირფასი პროდუქტით, რის შემდეგაც ტარდება სპეციალური მასაჟი. ხოლო ინგლისში, ლონდონში სალონ Hari's –ში ნებისმიერ მსურველს შეუძლია 16 შუკვეთოს საფირმო პროცედურა – შავი ხიზილალის ნიღაბი თმებისათვის. არ დაგავიწყდეთ, რომ ბაქოში, შავი ხიზილალის „სამშობლოში" 1 კგ. შავი ხიზილალა $3000 ღირს;

ლუდის აბაზანები. ეს, ალბათ, ყველაზე ხელმისაწვდომი პროცედურაა ამ ჩამონათვალში. მისი შეთავაზება დაიწყეს ჩეხეთში, Chodovar–ების ოჯახურ ლუდსახარშში. როგორც ამბობენ ავტორები, იგი აუმჯობესებს სისხლისმიმოქცევას და აჩქარებს დეტოქციკაციას;

შოკოლადის აბაზანები. იაპონიის თერმალურ კურორტ ჰაკონეში, რომელიც ტოკიოს დასავლეთითაა განლაგებული, კლიენტებს სთავაზობენ შოკოლადის აბაზანას. მას ძირითადად იყენებენ მშრალი კანის მქონე ადამიანები და იგი დადებით გავლენას ახდენს კანზე, რომელმაც ექსტერემალური პირობების (ყინვა, ქარი, მზეზე დაწვა) ზემოქმედება განიცადა;

უნდა ვახსენოთ კაკტუსის მასაჟი, რომელსაც მექსიკაში შემოგთავაზებენ და ფრინველის სკორეს ნიღაბი, რომელსაც ჯერ კიდევ იაპონელი გეიშები იყენებდნენ და დღეს საკმაოდ პოპულარულია ჩინეთში, იაპონიასა და ჰავაის კუნძულებზე. ჩიტების (მერცხლისებრთა და ბულბულისებრთა ოჯახები) ფეკალიებით გაკეთებული ეს ნიღაბი აახალგაზრდავებს კანს და ანიჭებს მას ფაიფურისებრ გამჭვირვალობას (ყუფარაძე, 2015).

შესაბამისად, აშკარაა, რომ არსებობს სპა ინდუსტრიის არაერთი მრავალფეროვანი სახეობა, რისი ცოდნაც და გააზრებაც მნიშვნელოვანია, თუმცა როგორც შემდგომში კვლევა გვიჩვენებს ქართულ რეალობაში სპა ტურიზმი გაიგივებულია, მაგალითად, მხოლოდ მასაჟის პროცედურებთან. აღნიშნული ფაქტი საკმაოდ გამარტივებული მიდგომაა და შესაძლოა თავის მხრივ, ხელსაც უშლიდეს ამ ინდუსტრიის განვითარებას ქვეყანაში, რადგან ჩრდილში ექცევა სხვა დანარჩენი უპირატესობები, რაც მოცემული სფეროს პოპულარობას უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბით.

2.3 სპა-ს თანამედროვე ტენდენციები: მარკეტინგი უბიძგებს სპა-ტურიზმს მომსახურების მრავალფეროვნებისკენ

სპა-ზონა - უპირატესობად უკვე აღარ ითვლება. ადრე, როცა სასტუმროებისა და სილამაზის მსხვილი სალონების ხელმძღვანელები დილემის წინაშე იდგნენ: გაეკეთებინათ სპეციალიზირებული სპა-სალონი თუ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ სპა-ზონის შექმნით, არჩევანს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებდნენ. ამის მიზეზი იყო ის, რომ სპა-ზონა მოითხოვდა შედარებით ნაკლებ ფინანსურ დანახარჯს და ამავე დროს, იძლეოდა უპრატესობას სხვა სალონებთან და სასტუმროებთან შედარებით. ეს იყო ძალზედ ეფექტური მარკეტინგული საშუალება. დღევანდელი საკმაოდ გამოცდილი და სხვადსხვა მომსახურებებში გარკვეული, ბევრ ქვეყანაში ნამყოფი მომხმარებელი აღარ კმაყოფილდება სპა-ზონის შეზღუდული შესაძლებლობებით. კლიენტების მოთხოვნების ასეთმა ცვლილებამ დიდი გავლენა მოახდინა ზოგადად სპა ინდუსტრიაზე და სასტუმრო ბიზნესზე. კერძოდ, 4-5 ვარსკვლავიანი სასტუმროების აუცილებელი ატრიბუტი სპა-ცენტრი ხდება. ამის კარგი მაგალითია თბილისის სასტურმრო „რედისონ ბლუ ივერია“.

პრივატული სპა ნომრები. სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში მძაფრმა კონკურენციამ და კლიენტთან ინდივიდუალური მიდგომის, ბოლო დროს, დამყარებულმა ჰეგემონიამ დრის წესრიგში დააყენა სასტუმრო მომსახურების ისეთი სახე, როგორიცაა ინდივიდუალური სპათი აღჭურვილი ნომრები. ასეთ აპარტამენტებში ყველაფერი მიმართულია კლიენტის

ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. აქ შეიძლება მიიღოთ სხვადსხვა პროცედურები ისე, რომ არ გამოხვიდეთ ოთახიდან: საუნა, ჰიდრომასაჟური აბაზანა, მასაჟი, პილინგი, წყალმცენარეების შემოხვევა, სკრაბი და ათასი სხვა მსგავსი რამ. ამრიგად, სრულადაა დაცულია ისეთი კლიენტის პრივატულობის პირობები, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ სურს საერთო სპა-დაწესებულების მონახულება.

უკან ბუნებისაკენ. კარგი პერსპექტივები აქვთ იმ სპა-ობიექტებს, რომლებიც განთავსებულია ბუნებრივი წყაროების სიახლოვეს. „ეკოლოგიური“, „ეკოლოგიურად სუფთა“ (ECO), „ნატურალური“(NATURAL), „ორგანული“ (ORGANIC), „ბუნებრივი“, „მწვანე“ (GREEN)- ეს ის სიტყვებია, რომლებსაც, სპას არჩევისას, კლიენტისათვის მიმზიდველი მნიშვნელობა აქვს. ჯანმრთელობისა და სილამაზის ინდუსტრიის საწარმოები, რომლებიც იყენებენ ბუნებრივი წყაროებისა და ნატურალური პროდუქტების სამკურნალო ძალას, ყოველთვის ექნებათ უშველებელი უპირატესობა კლიენტებისათვის ბრძოლაში. თუმცა, საქართველოში ეს მიდგომები ჯერ კიდევ გაუცნობიერებელია, თორემ, როგორ შეიძლება თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს ჰყავდეს გაცილებით ნაკლები კლიენტი, ვიდრე „რედისონს“, „ნატალის“ ან „ლოტუსს“.

ოჯახზე ორიენტირება. უკანასკნელ დრომდე სპა-ცენტრები არ იღებდნენ ბავშვებიან ოჯახებს, რადგან სპა ასოცირდება სიჩუმესთან, სიმშვიდესთან, რელაქსთან, მაგრამ არანაირად პატარების სირბილთან და ჟივილ-ხივილთან. ბოლო წლებში საზღვარგარეთ ეს პრაქტიკა დავიწყებას მიეცა და საქართველოშიც ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადის. დღეს, სპა-ცენტრები მზად არიან სპეციალური შეთავაზებები გაუკეთონ ოჯახებს. ეს არაა ცალკეული პროცედურები სხვადასხვა ასაკის მომხმარებლისათვის, არამედ ესაა ერთობლივი პროგრამები, რომლებიც ოჯახის წევრებს საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება, მეტი დრო გაატარონ ერთად. რა თქმა უნდა, არის ცალკე შათავაზებები მხოლოდ ბავშვებითვის: სპეციალური შემეცნებითი პროგრამები, რომელთა დროს პატარებს უყვებიან ძილის სარგებლობაზე, ჯანმრთელი ცხოვრების წესზე, აზიარებენ საუნაში ან აბანოში ქცევის წესებს, ასწავლიან აუზში ცურვას, დილაობით რეგულარული ფიზიკური ვარჯიშების კეთებას და სხვა.

ჰიბრიდული სპა-მოდელი. თანამედროვე ცხოვრებაში, რომელშიც ადამიანს მუდმივად დროის დეფიციტი აწუხებს, კლიენტებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მიიღოს ყველა მომსახურება „ერთ კალათაში“. ამიტომ მომხმარებელში განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს ჰიბრიდული-სპა მოდელები, რომლებიც სპა-პროცედურებთან ერთად სთავაზობენ კლიენტს ფიტნეს-პროგრამებს, პროფესიონალი ექიმების კონსულტაციებს, კოსმეტიკური და ველნეს-პროგრამების ფართო სპექტრს, მათ შორის, წონის დაკლებას, ძილის მოწესრიგებას და სხვა. ასევე, სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება პარტნიორობა სპა და ფიტნეს-კლუბებს, სპა-ცენტრებსა და სამედიცინო კლინიკებს შორის. ბოლო დროს, ზოგიერთ საავადმყოფოს საკუთარი მომსახურების ასორტიმენტში შეაქვს სპა-ელემენტები (Spa Business Handbook, 2017-2018).

თავი III. სპა ინდუსტრია თბილისსა და კახეთში

როგორც უკვე ავღნიშნეთ საქართველო ძალიან მდიდარია მინერალური წყლებით. ექსპერტული შეფასებით მათი საერთო დღე-ღამური დებიტი 120-130 მილიონი ლიტრია. ამ კუთხით გამორჩეული ადგილი უჭირავს დედაქალაქ თბილისს, რომლის დაარსების ლეგენდაც პირდაპირ უკავშირდება აქ არსებულ ცხელ, გოგირდიან წყლებს. თბილისის მშვენებას და მის ერთგვარ „სავიზიტო ბარათს“ წარმოადგენს აბანოები. ამას აღნიშნავდა ყველა მისიონერი თუ მოგზაური, ვინც უხსოვარი დროიდან საქართველოს დედაქალაქში ყოფილა. მართალია, აბანოების პირველსახე არ შემონახულა, თუმცა აზიურ სტილში

აგებული ცხელი გოგირდოვანი წყლების აბანოები დღემდე თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული ადგილია. ის თურქებმა 1762 წელს ააშენეს. მასალა არაბეთიდან აქლემებით ჩამოჰქონდათ. შუა საუკუნეებში ამ აბანოებს მრავალ სამკურნალო თვისებებსაც მიაწერდნენ. დღეს კი სხვა რელობაა, აბანოები, რა თქმა უნდა, რჩება ჩვენი დედაქალაქის მიმზიდველ და ეგზოტიკურ ნაწილად, მაგრამ თანამედროვე გამოწვევები სპა და ველნეს ინდუსტრიაში მომსახურების უფრო მაღალ სტანდარტებს გვიწესებს და აუცილებელია ამის გათვალისწინება. თბილისს განსაკუთრებულობას სძენს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ამ კუთხით - თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი. როგორც ცნობილია მსოფლიოში სულ ორი დედაქალაქია თბილისი და ბუდაპეშტი სადაც მოიპოვება სამკურნალო მინერალური წყლები და სადაც მდებარეობს ბალნეოლოგიური კურორტი. Szechenyi Spa Baths არის საყოველთაოდ ცნობილი სპა კურორტი რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია ბუდაპშტში და სპეცალურად აქ სტუმრობისთვის ჩადიან ტურისტები ქალაქში, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი კი თავად ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც კი ნაკლებად ცნობილია.

რაც შეეხება თბილისში არსებულ სპა ობიექტებს, მათ შესახებ ინფორმაცია არც თუ ისე ბევრია, ძირითადად ვგებულობთ ინტერნეტით, სხვა და სხვა საიტების მეშვეობით. ოფიციალური ინფორმაცია კი იმის შესახებ თუ რამდენი სპა სალონია ქალაქში, არ არსებობს. ამასთანავე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნებისმიერ სალონს შეუძლია თავის დასახელებაში მიუთითოს „სპა“ და რეალურად რამდენად შეესაბამება მისი მომსახურება ამ ტერმინს რთული დასადგენია. აქ საუბარია არა იმდენად მომსახურების ხარისხზე, არამედ თავად მომსახურების სახეებზე. მაგალითად, ბევრი დაწესებულების სახელწოდებაში ფიგურურებს „სპა“, თუმცა, რეალურად მასაჟის პროცედურის მეტი არაფერი მსგავსი მომსახურება არ გააჩნიათ.

ნაშრომში განხილულია თბილისში არსებული ყველაზე პოპულარული და სანიმუშო სპა სალონები და ობიექტები, რომელთა გამოკვლევაც მოხერხდა

- სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრი ,,სამ რაან“;

- „ანე სიმონეს სპა“;
- „ჯინო ფერედაის“- ის სპა ცენტრი;
- „ნატალის დღის სპა“;
- კოჯრის სამედიცინო კურორტი ,,ბიოლი’’;
- ესთეტიკის ცეტრი „ლოტუსი“;
- თბილისი ბალნეოლოგიური კურორტი;
- გოგირდის აბანოები;

სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრი ,,სამ რაან“

როგორც ვიცით, სპა პროცედურები საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება. თბილისში არსებული სალონებიდან, რომელთა შესახებ შევძელით ინფორმაციის მოძიება გამოკითხვის საშუალებით, მრავალფეროვანი მომსახურების სახეებით გამოირეჩევა „სამ რაან“-ის სპა ცენტრი, რომელიც კლიენტებს სთავაზობს, როგორც ცალკეულ სპა პროცედურებს, ასევე გაერთიანებულ პაკეტებს სხვადასხვა მომსახურებებით. ეს სპა-გამაჯანსაღებელი ცენტრი თბილისში 2014 წლის ნოემბერში გაიხსნა და განთავსებულია 1700 კვ.მ.-ის ფართობზე.

მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ სპა ცენტრის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უცხოურ საიტებზე, სადაც ვიზიტორები აფიქსირებენ თავიაანთ აზრს ამა თუ იმ ტურისტულ ობიექტზე, ასევე აქტიურია სოციალურ ქსელებშიც. ვიზიტორების მიერ დაფიქსირებული შეფასებებიდან აბსოლუტური უმრავლესობა დადებითია. პოპულარულ ტურისტულ საიტზე tripadvisor.com ამ ცენტრის განხილვისას კლიენტები ძირითადად აღნიშნავენ მაღალი ხარისხის მომსახურებას და მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმს.

როგორც სპა ცენტრის გაყიდვების მენეჯერი აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში, სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრის ძირითადი მომხმარებლები მამაკაცები არიან. ცენტრი უმეტესად უცხოელებზეა გათვლილი. მათში დიდი პოპულარობით საფერავის პაკეტი სარგებლობს. ამ პაკეტში ყველა პროცედურა ყურძენს უკავშირდება. მომხმარებელი

თავდაპირველად ფეხით ჭყლეტს ყურძენს, შემდეგ იღებს ღვინის აბაზანებს. აქ პროცედურების ფასი 25 ლარიდან იწყება, ხოლო მაქსიმალური ფასი 1150 ლარია. შესაძლოა ფასები მოსახლეობის უმრავლესობისათვის მაღალი და მიუღებელი იყოს, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათი მომსახურება საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და ნამდვილად შეესაბამება ფასებს. ამასთანავე, უცხოურ ანალოგიურ ცენტრებთან შედარებით ეს ფასები საკმაოდ მისაღებია.

„ანე სიმონეს სპა“

კიდევ ერთი ცნობილი სპა-ცენტრი თბილისში არის „ანე სიმონეს სპა“, რომელიც განთავსებულია სასტუმრო რედისონის ბოლო ორ სართულზე. „ანე სიმონეს სპა“ პოპულარულია უფრო მეტად ტურისტებში, რაც განპირობებულია მისი მდებარეობით. როგორც სპა ცენტრის პიარ-მენეჯერი აღნიშნავს ძირითადი მომხმარებლები არიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები, პროცენტულად 50-50-ზე. საქათველოს მოსახლეობაშიც ფასები მისაღებია და მათი სტუმრობის სიხშირეც საკმაოდ მაღალია.

ჯინო ფერედაის

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დღეისათვის ძალიან პოპულარულია სპა და ველნეს პროცედურები, რაც დასვენების და გაჯანსაღების ერთ-ერთ უპირველეს საშუალებად ითვლება. ამ კუთხით თბილისში ნამდვილად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯინო ფერედაისს, რომელიც მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს მომხმარებლებს, რის გამოც ნამდვილად იმსახურებს მათ მოწონებას.მომსახურების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე ფასებიც შესაბამისია. აქ ფასები 35 ლარიდან იწყება ხოლო „ექსელენთ პაკეტი” მთელი დღით 2200 ლარი ღირს. ასევე შემოგთავაზებენ სპეციალურ ფასებს ოჯახებისა და მათი ბავშვებისთვის.

ნატალის დღის სპა

კიდევ ერთი ძალზედ პოპულარული სპა სალონი თბილისში არის „ნატალის დღის სპა“ რომელიც თბილისელი ქალბატონებისათვის და არა მარტო მათთვის ერთ-ერთი

საყვარელი ადგილია. აქ საკმაოდ მრავალფეროვანი მომსახურებაა. ნატალის პოპულარობა დიდ წილად განპირობებულია მისი ფასებით. აქ 10 წუთიანი საუნის ფასი 15 ლარია, ხოლო ვიპ აპარტამენტები ერთი საათის განმავლობაში სულ რაღაც 100 ლარი ღირს.

კოჯრის სამედიცინო კურორტი ,,ბიოლი''

კოჯრის სამედიცინო კურორტ ,,ბიოლი'' 2016 წლის თებერვალში გაიხსნა. გამაჯანსაღებელი კომპლექსის მთავარი რესურსი არის ბუნებრივი გარემო. კოჯრის ტყე-პარკი სპეციალისტების მიერ უკვე შეფასდა ,,თბილისის ფილტვებად'' და მომავალში კოჯრის ტერიტორიაზე უდიდესი ველნეს ცენტრის გაშენება იგეგმება.

აქ სისტემური ანალიზი ეწევა სწორ კვებასა და ფიზიკურ აქტივობას და გენეტიკურ ანალიზს. მომხმარებლებს მუდმივად უტარდებათ ანალიზები მკურნალობს დასაწყისში, მიმდინარეობისას და დასრულების შემდგომ. თითოეულ ადამიანს ჰყავს ინდივიდუალური თერაპევტი, რომელიც მკურნალობას მთელი პროცესის განმავლობაში კურირებს. აქ კლიენტებს საშუალება ეძლევათ გამოსცადონ საკუთარ თავზე უახლესი ველნეს ტექნოლოგიები. პერსონალის გადამზადება ხდება საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტების მიერ, ხოლო მაქსიმალური კომფორტისა და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად 7 ჰექტარ ტერიტორიაზე 5 ათასამდე ხე და ბუჩქის ძირი დაირგა. აქ სამუშაოები კვლავაც გრძელდება, რათა ველნეს ცენტრ ,,ბიოლ''-მა კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო დონის ველნეს ცენტრებს.

ესთეტიკური მედიცინის ცენტრი - „ლოტუსი

ესთეტიკური მედიცინის ცენტრი - ლოტუსი დაარსდა 2010 წლის დეკემბერში. მოგვიანებით გაიხსნა მისი ორი ფილიალი, ერთი 2011 წელს, ხოლო მეორე 2012 წელს, რომელიც ,,Lotus garden"-ის სახელითაა ცნობილი. ლოტუსი მომხმარებელს ულტათანამედროვე აპარატურის უახლოეს მოდელებს სთავაზობს.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი

თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. ამჟამად ცენტრი გთავაზობთ უნიკალურ ბუნებრივ გამაჯანსაღებელ ფაქტორებს: მინერალური გოგირდოვანი წყლის აბაზანებს, ვულკანური წარმოშობის საკურნალო ტალახის აპლიკაციებს, ფიზიოთერაპიას, სამკურნალო, გამაჯანსაღებელ სხვადასხვა სახის მასაჟს: კლასიკური, მანუალური, ტაილანდური, ანტიცელულიტური. ნევროლოგიური რეაბილიტაცია ბავშვთა და მოზარდათვის.

თქვენ მოგემსახურებათ გამოცდილი სამედიცინო პერსონალი: თერაპევტი, ნევროლოგი, ართროლოგი, ენდოკრინოლოგი, დერმატოლოგი, გინეკოლოგი, პედიატრი, ოტორინოლარინგოლოგი. აქ მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ფასდაკლებები და კეთდება სპეციალური შეთავაზებები სოციალურად დაუცველებისთვის.

გოგირდის აბანოები

ლეგენდა, თბილისის ცხელი წყლების აღმოჩენაზე და მათზე ქალაქის გაშენებაზე, V ს. ქართლის მეფეს, ვახტანგ გორგასალს ეკუთვნის. X საუკუნეში, არაბი გეოგრაფი, იბნ ჰაუკალი – „გზათა და სამეფოთა წიგნში“, აღნიშნავს: „ქალაქში [თბილისში], არის ტიბერიადის აბანოების მსგავსი აბანოები, რომელთა წყალიც უცეცხლოდ დუღს“. ისტორიული ცნობებით, XIII საუკუნის თბილისში, მინერალური წყლის 65 აბანო ყოფილა. თბილისის აბანოებზე, ცნობებს გვაწვდიან XIII-XIV სს. ვენეციელი მოგზაური, მარკო პოლო, XVIII საუკუნის რუსი ვაჭარი, ვასილ გაგარა, ასევე ვახუშტი ბაგრატიონი.

XVII-XIX სს. თბილისში, იყო ერეკლეს, ბებუთას, მელიქის, მეითრის (სუმბათოვის), გოგილოს, ორბელიანთა, თბილელის, მირზოევის, ხოჯას, „გრილი“ (შიოევის), „ჭრელი“ და სხვა აბანოები. დღემდე შემორჩენილ აბანოთა უმრავლესობა XVII-XVIII საუკუნეებში ირანული არქიტექტურის გავლენითაა შექმნილი და თავმოყრილია, ბოტანიკური ბაღის აღმართის დასაწყისში. სწორედ ამიტომ, ამ ადგილს აბანოთუბანი ეწოდა.

რაც შეეხება კახეთს, სანამ უშუალოდ ამ რეგიონში არსებულ თანამედროვე სპა-ცენტრებს განვიხილავდეთ, აუცილებელია ვილაპარაკოთ აქ არსებულ იმ

უპირატესობებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის.

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და მრავალფეროვანი მხარეა. აქ ერთმანეთის გვერდიგვერდაა კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთები 3300 მ-ის და 4500 მ-ის მწვერვალებითა და უღელტეხილებით, ბარაქიანი ვაკეები და ველ-მინდვრები და რაოდენ საოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ნახევრად უდაბნო (დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონებში) ადგილები. კახეთში ტენიან სუბტროპიკულსა და კონტინენტურს შორის გარდამავალი ჰავაა. რეგიონის კლიმატი განიცდის როგორც მშრალი შუააზიური, კასპიის ზღვის მშრალი ჰაერის მასების, ასევე დასავლეთიდან შავი ზღვის ტენიანი ჰაერის გავლენას. თუმცა, შავი ზღვიდან ტენიანი ჰაერის მასის შემოჭრას ხელს უშლის ლიხისა და მესხეთის ქედები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსგან ჰყოფენ.

კახეთის მხარე მდიდარი საკურორტო პოტენციალით გამოირჩევა. აქ გვხვდება ყველა ტიპის კურორტი, რომელიც დღეისათვის არის ცნობილი, ესენია:

- კლიმატური კურორტი - არხილოსკალო, ცივი კოდა;
- კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი - თეთრი წყლები;
- ბალნეო-კლიმატური - უჯარმა, თორღვას აბანო;
- ბალენოლოგიური კურორტი - ლაგოდეხი, ყვარელი
- ტალახით სამკურნალო (პელოიდური) კურორტი - ახტალა.

სხვა მრავალფეროვან ტურისტულ შესაძლებლობებთან ერთად, კურორტების არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ კახეთის რეგიონი გახდეს საქართველოს მთავარი ტურისტული ცენტრი.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ზემოთ ჩამოთვლილი მკურნალობის ძირითადი ფაქტორები, რომელიც ძალიან მრავალფეროვანი და გასხვავებულია, აუცილებელია განვიხილოთ თითოეული მათგანი.

კურორტი არხილოსკალო ადმინისტრაციული მდებარეობა - დედოფლისწყაროს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ივრის ზეგანის(შირაქის ველი)აღმოსავლეთი ნაწილი. სიმაღლე-ზღვის დონიდან - 670 მ. რელიეფი ვაკე-ბორცვიანი. კლიმატი მშრალი, სუბტროპიკული. ზამთარი ზომიერად ცივი, თითქმი სუთოვლო. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2300 საათი. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი:დაბალი მთის და ველის ჰავა. მკურნალობისსახეობა: პასიურიკლიმატოთერაპია.

ახტალა ახტალა, თბილისიდან 122 კილომეტრში, ქალაქ გურჯაანში მდებარეობს. ზღვის დონიდან 412 მ. ჰავა ზომიერი კონტინენტური: ზაფხული ცხელი, ზამთარი თბილი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 700 მმ. კურორტის სამკურნალო ფაქტორის ფსევდოვულკანური ტალახი, რომელსაც იყენებენ აბაზანებისთვის, აპლიკაციებისა და ტამპონებისათვის. ტალახის ბორცვები მდებარეობს ტაფობში, რომლის ფართობი 4-5 ჰექტარია. აქ აღინიშნება ტალახის 9 გამოსავალი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მოქმედებენ სხვადასხვა დროს: როდესაც აქტიურ მდგომარეობაში მოდის ერთი გამოსავალი, სუსტდება ან სრულიად წყვეტენ მოქმედებას სხვები. უმრავლეს შემთხვევაში ერთდროულად მოქმედებს 3-4 ბორცვი. ტალახის დღე-ღამური დებიტი 37-47 კუბურ მეტრს შეადგენს. ახლად ამოსული ტალახის ტემპერატურა 14° C -დან 18 ° C-მდე მერყეობს. ახტალის ტალახი არაორგანული წარმოშობისაა, ნაცრისფერია და თხიერი კონსისტენცია აქვს. შედგება მნერალური წყლისაგან, კრისტალური ჩონჩხისა და კოლოიდური კომპლექსისაგან. მინერალური წყალი (რამპა) ძირითადად ქლორიდულ ნატრიუმიანი შემადგენლობისაა, ხასიათდება მაღალი მინერალიზაციით (15-17 გ/ლ) და შეიცავს თერაპიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან მიკროელემენტებს (ბრომი, იოდი, ლითიუმი, ბარიუმი და სხვა). ახტალა, საქართველოში ტალახით სამკურნალო ერთადერთი კურორტია. ახტალის ტალახით მკურნალობენ ძვალ-სახსროვან, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიურ, დერმატოლოგიურ და სხვა დაავადებებს. ახტალის ტალახი გამოიყენება აბაზანებისა და აპლიკაციის სახით. ასევე დანერგილია ელექტრო ტალახი. პარალელურად ტარდება სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი, ფიზიოთერაპიული პროცედურები. ტალახით მკურნალობა ავადმყოფს ენიშნება ზოგადი და ადგილობრივი აბაზანების სახით

(ტემპერატურა + 36-37-38 ° C), საერთო ან ადგილობრივი აპლიკაციის სახით (ტემპერატურა +39-44° C) და ვაგინალური ტამპონების სახით (ტემპერატურა +45-48 ° C).

კურორტი თეთრი წყლები ადმინისტრაციული მდებარეობა - თელავის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი, მდ.თურდოს სათავეებში (მდ.ალაზნის შენაკადი). სიმაღლე ზღვის დონიდან 1300-1350 მ.რელიეფი მთაგორიანი. კლიმატი-საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი,თოვლიანი. ნალექების წლიური რაოდენობა 860 მმ.ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 66%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2200 საათი.ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები:საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და სუსტად სულფიდური,ფიდროკარბონატული,კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები,საერთო მინერალიზაციით 0,7-0,8 გ/დმ^3, რომლებიც შეიცავენ 15-16 მგ/დმ^3 სულფიდურ შენაერთებს. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი თორღვას აბანო ადმინისტრაციული მდებარეობა-თელავის რაიონი.გეოგრაფიული მდებარეობა-დიდი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის სამხრეთი ფერდობი, მდ.სტორის ხეობა. სიმაღლე სღვის დონიდან 1800-1850 მ. რელიეფი მთაგორიანი. კლიმატი-საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი,მდგრადი, ნალექების წლიური რაოდენობა 1400 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 55%. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და სუსტად სუპფიდური,ქლორიდულ-კარბონატულ ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, გოგირდწყალბადის, კაჟმჟავას შემცველობით, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,6 გ/დმ^3. მკურნალობის სახეობები:მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ლაგოდეხი ადმინისტრაციული მდებარეობა-რაიონული ცენტრი კახეთში. სიმაღლე ზღვის დონიდან- 460 მ. რელიეფი-ვაკე. კლიმატი - დაბალი მთის, ზომიერად ტენიანი. ზამთარი რბილი, უთოვლო. ნალექების წლიური რაოდენობა-1076 მმ.ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა-72%. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური

წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,44 გ/დმ^3. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი უჯარმა ადმინისტრაციული მდებარეობა - საგარეჯოს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა-იორის მთების ზეგანი. სიმაღლე ზღვის დონიდან 960 მ. რელიეფი-მთაგორიანი, ვაკე-ზეგანების მონაცვლეობით. კლიმატი აღმოსავლეთ საქართველოს დაბალმთიანი, შედარებით დაბალტენიანი, ტემპერატურის ცვალებადობის დიდი ამპლიტუდით. ზამთარი რბილი,მცირეთოვლიანი. ნალექების წლიური რაოდენობა -600 მმ.ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 63%. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ჰიპერთერმული კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, ბრომის, იოდის, კაჟმჟავას მეტაბორის მჟავის და სხვ. მაღალი შემცველობით, საერთო მინერალიზაციით 8,0-10,0 გ/დმ^3. მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია (ყუფარაძე, 2015).

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, მე-20 საუკუნეში აღნიშნულ კურორტებზე, თითქმის ყველა მათგანში, ფუნქციონირებდა ინფრასტრუქტურულად მოწესრიგებული და ტექნიკურად აღჭურვილი სანატორიუმები. მაგალითად, მხოლოდ კურორტ ახტალაზე ფუნქციონირებდა სამი სხვადასხვა სანატორიუმი შესაბამისად 150, 170 და 60 საწოლითსაერთო ჯამში ერთდროულად 380 ადამიანს შეეძლო ემკურანალა და დაესვენა, რაც მთელს სეზონზე 5200 დამსვენებელს შეადგენდა.

ანალოგიურად ფუნქციონირებდა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები სხვა კურორტებზეც, სადაც ისვენებდნენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ტურისტები მთელი საბჭოთა კავშირიდან (ვადაჭკორია, უშვერიძე, & ჯალიაშვილი, 1987).

კახეთის რეგიონში აღნიშნული ამ კურორტებიდან დღეს მხოლოდ სამი ფუნქციონირებს (ახტალა, უჯარმა, თორღვას აბანო), თუმცა რამდენად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და რამდენად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ სხვა საკითხია.

როგორც ვხედავთ, კახეთის ტურისტულ რეგიონს მართლაც აქვს სამკურნალო ტურიზმის განვითარების უაღესად დიდი პოტენციალი, რომელსაც ქმნის რეგიონში

არსებული სამკურნალო ტურისტული რესურსების მრავალფეროვნება, თუმცა პირველ რიგში აუცილებელია მოგვარდეს ამ სფეროსთან დაკავშირებული მწვავე ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელთა მნიშვნელოვანი მოგვარება შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ჩარევით.

უნდა აღინიშნო, რომ თანამედროვე სპა ცენტრების შექმნა, სწორედ, კახეთიდან დაიწყო და პირველ მერხცხლებად ლოპოტა და ყვარლის ტბა გვევლინებიან.

„ლოპოტა სპა რეზორტი“ - დღეს ასე იწოდება ნაფარეულში, ტბის პირას გაშენებული სპა-ცენტრი. მომაჯადოებელ გარემოში მდებარე ლოპოტას ტყის სპა უნიკალური საშუალებაა განტვირთვისა და სამკურალო-გამაჯანსაღებელი პროცედურებისათვის. იდეალური მდებარეობა, სპეციალურად მოწვეულ პროფესიონალთა გუნდი და პრემიუმ კლასის პროდუქცია არის გარანტი იმისა, რომ მიიღებთ მაქსიმალურ სიამოვნებას, გათავისუფლდებით დაღლილობისა და დაძაბულობისაგან. ყველა პროცედურის კურსის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად, რაც სასურველი შედეგის მიღწევაში ეხმარება ადამიანს. ამ სპა ცენტრის ერთერთ უმთავრეს რესურს წარმოადგენს მისი ადგილმდებარეობა. თითოეული პროცედურის ფასი 50-დან 200 ლარამდე მერყეობს. სტუმრების უმეტესობა კმაყოფილია შემოთავაზებული სერვისებით, მომსახურებით და ასევე საუცხოო გარემოთი. მას ნამდვილად აქვს შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბრენდებს.

სპა პროცედურების ძალიან დიდ არჩევანს გვთავაზობს ყვარელში მდებარე სასტუმრო კომპლექსიც **„ყვარლის ედემი“**, რომელიც თბილისიდან 153 კილომეტრითაა დაშორებული. სასტუმრო ქალაქის ცენტრიდან, სადაც მუზეუმები, ეკლესია და ქალაქის სხვა ღირშესანიშნაობებია, რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. სასტუმროს აქვს მაღალი კლასის ოთახები, რესტორნები, ბარები, საკონფერენციო დარბაზი, ბოულინგი, ბილიარდი, ტენისის კორტი, ღვინოთერაპიის სპა. აქ ქართულ ტრადიციულ სამზარეულოსთან ერთად ევროპული კერძებითაც ისიამოვნებთ.ეს სასტუმრო გამოირჩევა იმით,რომ მას აქვს ღვინოთერაპიის სპა, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ევროპაში.

3.1 კვლევა

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად პოპულარულია საქართველოში ჰიდროთერმული სპა ცენტრები, როგორაა ეს ინდუსტრია განვითარებული, რამდენად იცნობს მოსახლეობა ზოგადად სპა მომსახურებას, სარგებლობს თუ არა ამ პროცედურებით და თუ არ სარგებლობს რა მიზეზი აქვს ამისთვის. ჩემი კვლევა არ არის მასშტაბური, თუმცა ის ნამდვილად გამოხატავს მოსახლეობის გარკვეული ფენის აზრებსა და მათ დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი. კვლევა განხორციელდა პირისპირ ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოვიკითხე 122 ადამიანი თბილისსა და კახეთში;

აღნიშნული კვლევის მიხედვით შეგვიძლია დავასკვათ, რომ სპა ინდუსტრია საქართველოში საკმაოდ სუსტადაა განვითრებული და აუცილებელია მისი პოპულარიზაცია მოსახლეობაში.

კვლევაში ჩართული იყო თითქმის ყველა ასაკის ადამიანი (იხ. დანართი, დიაგრამა 1), დაცული იყო გენდერული ბალანსი, მათ შორის 51% მამრობითი, ხოლო 49% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო (იხ. დანართი, დიაგრამა 2). რაც შეეხება შემოსავლებს, მათი ყოველთვიური შემოსავალი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელით (54%) მაინც საშუალო შემოსავლიანი მოქალაქეები გამოირჩევიან, რომელთა შემოსავალი 500-1000 ლარია. 500 ლარამდე შემოსავალი ჰქონდა გამოკითხულთა დაახლოებით 19%-ს, 1000-2000 ლარამდე 16%-ს. ხოლო მხოლოდ 3% იყო ისეთი ვისაც 2000 ლარზე მეტი ჰქონდა ხელფასი. დანარჩენ 8%-ს კი საერთოდ არ ჰქონდა სტაბილური შემოსავალი. აღნიშნულ 8 პროცენტში მოიაზრებიან ძირითადად სტუდენტები და ხანდაზმული ადამიანები (იხ. დანართი, დიაგრამა 3).

აღნიშნული გამოკითხვიდან ჩანს, რომ ჰიდროთერმული სპა პროცედურებით სარგებლობის სიხშირე არც ისეთი მაღალია. თბილისისა და კახეთის გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 6% სარგებლობს ხშირად სპა მომსახურებით, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, ძირითადად ექიმის კონსულტაციით, სარგებლობს სპა

მომსახურებით გამოკითხულთა 47%, დანარჩენი 29% ძალიან იშვიათად, ხოლო 18% კი საერთოდ არ სარგებლობს, როგორც თვითონ აღნიშნეს, ამ „ფუფუნებით“ (იხ. დანართი, დიაგრამა 3).

გამოკითხვიდან ასევე ჩანს, რომ სპა პროცედურები მოსახლეობისთვის (67%) ნაკლებად ხელმისაწვდომია, მხოლოდ 28 პროცენტი ფიქრობს, რომ ხელისაწვდომია და 5%-თვის კი საერთოდ არაა ხელმისაწვდომი (იხ. დანართი, დიაგრამა 8). უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული (იხ. დანართი, დიაგრამა 5) მათ შორის კი ლიდერობს მოსახლეობაში სპა მომსახურებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ფინანსური ფაქტორიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმაში რომ მოსახლეობა არ სარგებლობს სპა პროცედურებით. ამ მხრივ საინტერესოა ის, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ვინც ფინანსური პრობლემის გამო არ სარგებლობს სპა მომსახურებით არის ქალბატონი, ხოლო მამაკაცებისათვის ეს ან არ არის მნიშვნელოვანი, ან საერთოდ არ სმენია ამის შესახებ, მაგრამ ის რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ქალბატონია მეტყველებს იმაზე, რომ ფინანსური ფაქტორის მნიშვნელობა ბევრად დიდია.

გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ თუ ესტუმრებიან სპა-ცენტრებს, პირველ რიგში მაინც ხარისხსა და ჰიგიენურ სისუფთავეს მიაქცევენ ყურადღებას თუმცა, რა თქმა უნდა, ფასიც მნიშვნელოვანი ფაქტორია მათთვის (იხ. დანართი, დიაგრამა 6).

როგორც გამოკითხული მოსახლეობის 81% აღნიშნავს, სახელმწიფოს მხადაჭერა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სპა ინდუსტრიის განვითარებაში, მეორეხარისხოვანია 7 პროცენტისთვის, ხოლო 3% საერთოდ არ ანიჭებს არანიარი მნიშვნელობას სახელმწიფოს მხარდაჭერას ამ სფეროში (იხ. დანართი, დიაგრამა 7).

ვიზიტის მთავარ მოტივაციას წარმოადგენს, როგორც ექიმის დანიშნულება, ასევე საკუთარი ინიციატივა (72%/0, მაგრამ გამოკითხვიდან ჩანს, რომ 21 პროცენტისთვის ექიმის დანიშნულება, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, დიდ როლს თამაშობს (იხ. დანართი, დიაგრამა 8).

კითხვაზე, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ჰიდროთერმული პროცედურები ადამიანის ორგანიზმზე, 91 პროცენტმა უპასუხა, რომ სპა პროცედურები დადებითად აისახება და ზრდის შრომისუნარიანობას, 2%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ ზემოქმედებს. 1

პროცენტისთვის არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას, ხოლო დანარჩენმა 6% უპასუხა, რომ ჯამრთელობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ კარგია რელაქსაციისთვის (იხ. დანართი, დიაგრამა 10).

შემდეგი კითხვიდან ჩანს, რომ ჰიდროთერმულ სპა პროცედურებზე მოთხოვნა არის საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (იხ. დანართი, დიაგრამა 11).

აქვე საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რომელი სპა ობიექტები სარგებლობს პოპულარობით თბილისსა და კახეთში. როგორც ვხედავთ, თბილისში ორი თანაბრად პოპულარული სპა სალონია „ნატალის დღის სპა“ და ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „ლოტუსი“, ასევე მცირედით ჩამორჩება მათ „ჯინო ფერედაისი“.

აქედან საინტერესო დასკვნების გამოტანა შეიძლება. პირველ რიგში, ეს განპირობებულია ამ სპა სალონების ფასების მოსახლეობის ფართო ფენების მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობით. ასევე, იმ ფაქტით, რომ ეს სპა ობიექტები შედის უფრო მსხვილ ცენტებში, რაც თავის მხრივ განაპირობებს მათ პოპულარობას. ალბათ, კიდევ ერთი მიზეზი ამ ცენტრების უკეთესი მარკეტინგი და შედარებით ფართო სეგმენტზე გათვლილი რეკლამაა.

რაც შეეხება კახეთს, როგორც აღმოჩნდა უმეტესობას ჰქონდა ინფორმაცია ლოპოტაზე. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ლოპოტას საკმაოდ დიდი პიარი აქვს დღევანდელობაში და საკმაოდ პოპულარულია, თუმცა არ ჩამორჩება მას ასევე, ამბასადორი კაჭრეთი.

3.2 SWOT ანალიზი

SWOT ანალიზი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გამოყენებად მეთოდს სტრატეგიული მენეჯმენტის შემუშავებისას. იგი წარმოადგენს საკვლევი ობიექტის მრავალმხრივი შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მიხედვითაც ფასდება ობიექტის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები. სპა ტურიზმის SWOT ანალიზის შედეგები ასეთია:

ძლიერი მხარეები:

- სამკურნალო წყლების მრავალფეროვნება;
- უკვე არსებული მაღალი დონის სპა-გამაჯანსარებელი ცენტრები;
- ძლიერი და ცნობილი ბალნეოლოგიური სკოლა;
- მთავრობის ნება ტურიზმის განვითარებისთვის;

სუსტი მხარეები:

- მაღალი ფასები მომსახურებაზე;
- ბალნეოლოგიური კურორტების აუთვისებელი პოტენცილი;
- კვალიფიციური სპეციალისტების სიმცირე;
- სასწავლო ცენტრების არ არსებობა;
- ინფორმაციის ნაკლებობა მოსახლეობაში სპა პროცედურების შესახებ;

შესაძლებლობები:

სპა ინდუსტრიის განვითარებას თბილისსა და კახეთში საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, რადგან დედაქალაქში არსებული ბალნეოლოგიური კურორტი ნამდვილად უნიკალური შეასაძლებლობაა და ისევე როგორც ბუდაპეშტში შესაძლებელია სწორი დაგეგმარების შემთხვევაში ის ტურისტებისათვის ყველაზე მიმზიდველ ადგილად იქცეს. ასევე, ჩვენი უნიკალური გოგირდის აბანოები ნამდვილად არის ეგზოტიკური და საინტერესო, ხოლო ისეთი მაღალი დონის სპა და ველნეს ცენტრები რომლებზეც წინა თავში ვისაუბრეთ, კიდევ უფრო საინტერესოს ხდის თბილისს, როგორც სპა დედაქალაქს. რაც შეეხება კახეთს, ეს რეგიონი გამოირჩევა სამურნალო-გამაჯანსაღებელი ტურისტული რესურსების მრავალფეროვნებით, რაც ამ ინდუსტრიის კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს. განსაკუთრებით კი შეგვიძლია ავღნიშნოთ, ახტალის უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე ტალახები.

საფრთხეები:

მთავარი საფრთხე რამაც ყველაზე მეტად შეიძლება შეუშალოს ხელი თბილისისა კახეთს სპა ქალაქებად გადაქცევას არის არასწორად დაგეგმილი განვითარების გეგმა და უყურადღებობა მთავრობის მხრიდან ამ საკითხისადმი. გარდა ამისა, მნიშვნელოანი საფრთხეა ძალიან მაღალი ფასები, რის გამოც სპა მომსახურება მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

ჩატარებული კვლევების ანალიზი

წინა თავებში გავეცანით თბილისსა და კახეთში არსებული მნიშვნელოვანი სპა ობიექტების შესახებ ზოგად ინფორმაციას, ხოლო ამ თავში ვეცდები გავაანალიზო და ზოგ შემთხვევაში განვაზოგადო კვლევის შედეგები.

თბილისში, როგორც უკვე აღვნიშნე, განვითარების ყველაზე დიდი შესაძლებლობა გაჩნია თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს, რომელიც დღეს უფრო მეტად სამედიცინო პროფილს ატარებს, ვიდრე სპა და გამაჯანსაღებელს. კვლევის პროცესში გავეცანი კურორტის დირექტორის, ბატონი ნიკოლოზ სააკაშვილის ინტერვიუებს და ასევე მქონდა მცდელობა გასაუბრებისა კურორტის მენეჯერთან. თუმცა, ჩემი მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ კურორტის მმართველობას მიაჩნია, რომ ის პროფილი, რასაც დღეს ეს ცენტრი ატარებს და მისი მდგომარეობა მისაღები და სასურველია. ისინი მთავარ უპირატესობად ყველასთვის ხელმისაწვდომობას თვლიან, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. თუმცა ის, რომ ბალნეოლოგიური კურორტის შესახებ, როგორც სპა და გამაჯანსაღებელი ადგილის შესახებ, მოსახლეობაში საკმაოდ მწირი ინფორმაციაა, თავისთავად უკვე მეტყველებს გარკვეულ პრობლემებზე. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) საკითხს. აუცილებელია, რომ სამედიცინო პროფილის მომსახურებასთან ერთად, გააქტიურდეს სპა მომსახურებისადმი ინტერესიც, რასაც, პირველ რიგში, თავად კურორტის ხელმძღვანელობამ უნდა გაუწიოს პოპულარიზაცია. უნდა მოხდეს უცხოური ანალოგიური კურორტების შესწავლა, მაგალითად ბუდაპეშტის

ცნობილი სპა კურორტების და მათი გამოცდილების საფუძველზე თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ბუნებრივი პოტენციალის შესაბამისად გამოყენება.

როგორც სოციოლოგიურმა კვლევამ გვაჩვენა, თბილისში ყველაზე პოპულარული სპა-ცენტრი არის არა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, არამედ სპა სალონები „ნატალის დღის სპა“, ესთეტიკური მედიცინის ცეტრი „ლოტუსი“ და გასართობი სპა-ცენტრი „ჯინო ფერედაისი“. ერთის მხრივ, ეს საკვირველია, რადგან თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი ქალაქში ფუნქციონირებს 1938 წლიდან, ანუ თითქმის 80 წელია, ხოლო ზემოხსენებული სპა-სალონები სულ რამდენიმე წლის წინ შეიქმნა. მეორეს მხრივ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს, ამ მართლაც უნიკალურ, ისტორიულ და დიდი პერსპექტივის მქონე ობიექტს საკუთარი საიტიც კი არა აქვს ინტერნეტში, ხოლო ყველა ახლადშექმნილი სპა-ცენტრი საკმაოდ აქტიურ რეკლამირებას ახდენს თითქმის ყველა შესაძლო საშუალებით (სოციალური ქსელები, ინტერნეტ-რეკლამა, ბეჭდვითი მედია, ტელევიზია, რადიო და სხვა) მათი პოპულარობა გასაკვირი სულაც აღარაა.

დღეს სტანდარტული სპა პროცედურებით ვეღარავის გააკვირვებ, ამიტომ საჭიროა ისეთი მომსახურებების შეთავაზება, რაც უცხო და ეგზოტიკური იქნება ტურისტებისათვის. ამ მხრივაც, ნამდვილად გააჩნია განვითარების პოტენციალი თბილისს, თავისი ცნობილი აბანოების სახით. ისევ ბუდაპეშტის მაგალითს თუ მოვიშველიებთ, აქ ძალზედ პოპულარულია ე.წ „თურქული აბანოები“, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სწორი მენეჯმენტისა და მარკეტინგული გათვლების შედეგად შესაძლებელია ჩვენი აბანოებისადმიც გაჩნდეს ინტერესი ტურისტებში. თუმცა, დღევანდელი, სამწუხარო, რეალობა სულ სხვაგვარია. აბანოების შესახებ ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია, მითუმეტეს, არაქართულენოვანი ადამიანისათვის. დაბალია მომსახურების ხარისხიც და ასევე საეჭვოა ამ აბანოების რეპუტაციაც მოსახლეობაში. ცნობილ ტურისტულ საიტზე tripadvisor.com, სადაც ტურისტები შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს, ძალიან მცირე რაოდენობის შეფასებები აქვს თბილისის აბანოებს და სამწუხაროდ, ეს შეფასებები არ არის მხოლოდ დადებითი. როგორც აღნიშნავენ კარგი გარემოა, მაგრამ ცუდია

მენეჯმენტი. მხოლოდ რამოდენიმე აბანოს აქვს საიტი და იქაც ინფორმაცია არ არის განახლებადი, ხოლო ზოგიერთი მათგანის საკონტაქტო ნომერიც კი არასწორადაა მითითებული.

კახეთის მხარეს გააჩნია საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი თუმცა, ჩატარებულმა კვლევებმა დაგვანახა, რომ საკმაოდ დიდი სხვაობაა ტრადიციული კურორტებისა და ახლადშექმნილი სპა-ცენტრების მიერ შემოთავაზებულ მომსახურებებს შორის. ეს განსხვავება ეხება როგორც სერვისების რაოდენობას, ასევე მათ ხარისხს. სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურით დაწყებული, კადრების პროფესიონალიზმით, მკურნალობის ახალი მეთოდებით და თუნდაც მენიუს მრავალფეროვნებითა და ხარისხით დამთავრებული, კურორტები უჯარმა, ახტალა, თორღვას აბანო და სხვები, კატასტროფულად ჩამოუვარდებიან „ლოპოტა ტყის სპას“, „ყვარლის ედემსა“ და კაჭრეთის „ამბასადორს“.

ამის შედეგი კი ისაა, რომ ამ კურორტებისა და ახალი სპა-ცენტრების ფასებს შორის ასეთივე კარდინალური სხვაობაა. მაგალითად, ახტალის კურორტზე ერთი დღის საგზური 45-52 ლარი ჯდება. მომსახურებაში შედის: კვება, ლაბორატორიული გამოკვლევა, ექიმის კონსულტაცია, ტალახით მკურნალობა და მასაჟი. ასეთი ნაკრების ფასი ლოპოტაზე ან ყვარლის ედემში დაახლოებით 10-ჯერ და მეტჯერ ძვირი გამოდის, მაგრამ სიიაფე ამ შემთხვევაში არ განაპიროებებს უკეთეს დატვირთვას. ახლადშექმნილი სპა-ცენტრები ძველი კურორტებისგან განსხვავებით, მუშაობენ არა სეზონურად, არამედ მთელი წლის განმავლობაში, ამიტომ დატვირთვა საკმაოდ მაღალია. მართალია, ისინი მარკეტინგზე ბევრს ხარჯავენ, მაგრამ სამაგიეროდ, შედეგიც სახეზეა. ეს კიდევ ერთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს - სპა ინდუსტრია საჭიროებს პოპულარიზაციას, ხოლო სპა-ობიექტები აგრესიულ რეკლამირებას. როგორც კვლევიდან ჩანს, რესპონდენტების უმეტესობას ჰქონდა ინფორმაცია ლოპოტას სპაზე, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე წელია შეიქმნა, ხოლო იმ კურორტებზე, რომლებიც რამდენიმე ათწლეულებია ფუნქციონირებენ, ინფორმაცია (ისტორიული წყაროების გარდა) ძნელად მოსაპოვებელია. ეს, ჩემი აზრით, არც არის გასაკვირი, რადგანაც თანამედროვე სპა-ცენტრებს საკმაოდ

დიდი პიარი აქვთ, ხოლო მათი მომსახურების ხარისხი და ინფრასტრუქტურა თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება.

დასკვნა

პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, ოპტიმისტური დასკვნა, რომელიც შემიძლია წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის შედეგად გავაკეთო ისაა, რომ

დედაქალაქს და კახეთის რეგიონს გააჩნია ყველანაირი შესაძლებლობა, რათა მაღალი დონის სპა მომსახურება შესთავაზოს, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს. აღნიშნულის თქმის საფუძველს, პირველ რიგში, იძლევა ის ბუნებრივი პოტენციალი, რომელიც თბილისს გააჩნია. ქალაქი, პირდაპირ დგას თერმულ, მინერალურ წყლებზე. მხოლოდ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მინერალური წყლების წყაროების დღე-ღამური დებიტი 800 ათასი ლიტრია.

გარდა ამისა, იმის გამო, რომ თბილისს აქვს დედაქალაქის სტატუსი, ის სარგებლობს რიგი პრივილეგიებით:

- ცნობადობა;
- საელჩოებისა და საკონსულოებისა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებისა და ორგანიზაციების წარმოამდგენლობების არსებობა;
- საერთაშორისო აეროპორტის არსებობა;
- თბილისის ბალნეოლოგიური კურორტისა და მის ბაზაზე კურორტლოგიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არსებობა.

და ბოლოს, სახელწოდება თბილისი, რომელიც, სწორედ, თბილ წყალთანაა დაკავშირებული. საფრანგეთის ტურიზმის სამინისტროს თერმალური საკითხების ექსპერტის ბატონ მარკ პეპის მისიის ანგარიშში ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მეცნიერი თვლის, რომ მარკეტინგული თვალსაზრისით ეს ძალიან მომგებიანი თემაა და ასეთი პრივილეგია არც ერთ სხვა დედაქალაქს არ გააჩნია მთელ მსოფლიოში.

სპა-ინდუსტრიაში არსებული თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში განვითარების მეტი პერსპექტივს იმ სპა-ცენტრებს ექნებათ, რომლებიც განთავსებულია ბუნებრივი წყაროების სიახლოვეს ან ბუნებრივ გარემოში და არა ურბანულ ტერიტორიებზე. „ეკოლოგიური“ (ECO), „ნატურალური“(NATURAL), „ორგანული“ (ORGANIC), „ბუნებრივი“, „მწვანე“ (GREEN)- ეს ის სიტყვებია, რომლებსაც, სპას არჩევისას, კლიენტისათვის მიმზიდველი მნიშვნელობა

აქვს. თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს, „ბიოლს“ და ,,სამ რაან“-ს, რომლებიც იყენებენ ბუნებრივი წყაროებისა და ნატურალური პროდუქტების სამკურნალო ძალას, ყოველთვის ექნებათ უპირატესობა კლიენტებისათვის ბრძოლაში.

ჩატარებული კამერალური სამუშაოების და კვლევების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ მეორე დასკვნაც - სპა ინდუსტრია თბილისსა და კახეთში ვითარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ნელი ტემპებით.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ყველა ის სპა ობიექტი, რომელიც მაღალი ხარისხის მომსახურებას მიაწოდებს მომხმარებლებს. თუმცა, ის ფაქტი, რომ თავად საზოგადოებაში არ არსებობს მზაობა ამ მომსახურების მიღებისა, სამწუხარო და ნამდვილად ყურადღება მისაქცევია. თუ კი გვსურს ამ სფეროს უფრო მეტად განვითარება, საჭიროა ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოების გაწევა.

ვფიქრობ თუ გვინდა, რომ ეს სფერო იქცეს ეკონომიკურად მომგებიან დარგად, საჭიროა მეტი აქცენტების გაკეთება მთავრობის მხრიდან მისი პოპულარიზებისათვის.

ერთ-ერთი პრობლემა, რაც გამოიკვეთა ამ თემაზე მუშაობის პროცესში, არის ის, რომ სპა მომსახურება, ძირითადად, მოსახლეობის მხოლოდ მაღალშემოსავლიანი სეგმენტისთვისაა ხელმისაწვდომი. ის მძიმე სოციალური ფონი, რაც საზოგადოებაში არსებობს, შესაბამსად იგრძნობა სპა ინდუსტრიაშიც. ნამდვილად რთულია მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, ვისი შემოსავალიც 500 ლარი ან უფრო ნაკლებია, სპა მომსახურებაზე ლაპარაკიც კი. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი რომ ამ მომსახურებისადმი გულგრილი დამოკიდებულაბაა იმ ნაწილშიც ვისაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს.

ყველაფერ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს თბილისსა და კახეთში სპა არ არის უცხო და ახალი ტრენდი, თუმცა იგი მაინც ფუფუნების საშუალებად ითვლება. იმისათვის, რომ მან უფრო მეტი პოპულარობა და ცნობადობა შეიძინოს და მეტად განვითარდეს, საჭიროა რამოდნიმე მიმართულებით მუშაობა. ერთი ესაა, უკვე არსებული ობიექტების მეტი პიარი საზოგადობის ყველა ფენაში და არა

მხოლოდ ელიტარულ ნაწილში, ასევე აუცილებელია იმ ბუნებრივი პოტენციალის რაციონალურად ათვისება, რაც გააჩნია კურორტებს.

ბიბლიოგრაფია

ვადაჭკორია, მ. კ., უშვერიძე, გ. ა., & ჯალიაშვილი, ვ. გ. (1987). *საქართველოს სსრ კურორტები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

კვაშილავა-ცეკვავა, & აფროდიტა. (2011). *კურორტები.* თბილისი: მაცნე პრესი.

ვადაჭკორია, მ. კ., უშვერიძე, გ. ა., & ჯალიაშვილი, ვ. გ. (1987). *საქართველოს სსრ კურორტები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ნეიძე, ვ., პავლიაშვილი, ნ., & თუთბერიძე, მ. (2017). საკურორტო ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში. *მეცნიერება და ტექნოლოგიები* , 60.

სააკაშვილი, ნ., თარხან-მოურავი, ი., ტაბიძე, მ., & ქუთათელაძე, ნ. (2011). *საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია.* თბილისი: საქათველოს მაცნე.

ყუფარაძე, გ. (2015). სამკურნალო ტურიზმის ისტორია. მასალა წარმოდგენილია სამკუნალო ტურიზმის ლექციაზე, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ.-ის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.

ჭავჭავაძე, ე. (2009, 06 22). *ოჯახის მკურნალი.* Retrieved from mkurnali.ge: https://mkurnali.ge/profilaqtika/masazhi/1362-2009-06-22-13-49-49.html?start=1

Goodrich, J. N., & Goodrich, G. E. (1991). Health-care Tourism. In S. Medlik, *Managing Tourism* (p. 107). Oxford: Butterworth-Heinemann: Redwood Books.

Holloway, A. (2015, October 25). *2,400-Year-Old Healing Temple dedicated to Asclepius, God of Healing, Excavated in Greece*. Retrieved March 9, 2018, from Ancient Origins: http://www.ancient-origins.net/news-history-archaeology/2400-year-old-healing-temple-dedicated-asclepius-god-healing-excavated-020587

Jusoh, J., Hashemi, S., Jusoh, J., Kiumarsi, S., & Mohammadi, S. (2015). Influence Factors of Spa and Wellness Tourism on Revisit Intention: the Mediating Role of International Tourist Motivation and Tourist Satisfaction. *International Journal of Research – Granthaalayah* , 1-2.

Jyothis, T. (2009). health Tourism. In T. Jyothis, *An evaluation of the potentials of health tourism with special reference to Kerala* (pp. 93-94). Kerala: University of Calicut.

Kim, S. H., Kim, S., Huh, C., & Knutson, B. (2010). A Predictive Model of Behavioral Intention to Spa Visiting: An Extended Theory of Planned Behavior. *International CHRIE Conference-Refereed Track* (pp. 2-3). ScholarWorks@UMass.

Pal, S. (2016, June 30). *The better India.* Retrieved იანვარი 2018 , from www.thebetterindia.com: https://www.thebetterindia.com/60143/mohenjodaro-harappa-indus-valley-civilization/

Romanova, G., Vetitnev, A., & Dimanche, F. (2015). Health and Wellness Tourism. In G. Romanova, A. Vetitnev, & F. Dimenche, *Tourism in Russia: A Management Handbook* (pp. 231-287). Bingley: Emerald Group Publishing.

Schmidt, S. (2017, June 28). *The Growth of the Global Spa Industry.* Retrieved მაისი 2018, from MarketResearch.com: https://blog.marketresearch.com/the-growth-of-the-global-spa-industry

Spa Business Handbook. (2017-2018). Retrieved from spahandbook.com: http://www.spahandbook.com/pdf/SBH_2017.pdf

World Health Organization. (n.d.). Retrieved from www.who.int: http://www.who.int/about/who-we-are/en/

Сычева, В. О. (2015). *Научно-методический электронный журнал "Концепт".* Retrieved აპრილი 2018, from www.e-koncept.ru: http://e-koncept.ru/2015/95385.htm

დანართი



დიაგრამა 1. გამოკითხულ მოქალაქეთა ასაკობრივი შემადგენლობა



დიაგრამა 2. გამოკითხულ მოქალაქეთა შეფარდება სქესის მიხედვით



დიაგრამა 3. გამოკითხულ მოქალაქეთა ყოველთვიური შემოსავალი



დიაგრამა 4. სპა პროცედურებით სარგებლობის სიხშირე



დიაგრამა 5. სპა მომსახურებით არსარგებლობის მიზეზები



დიაგრამა 6. ჰიდროთერმულ სპა პრცედურებზე მოთხოვნა



დიაგრამა 7. სახელმწიფოს მხარდაჭერა სპა მომსახურების განვითარებაში



დიაგრამა 8. სპა მომსახურების ხელმისაწვდომობა



დიაგრამა 9. ვიზიტის მთავარი მოტივაცია



დიაგრამა 10. ჰიდროთერმული სპა პროცედურების გავლენა ორგანიზმზე



დიაგრამა 11. სპა პრცედურების განვითარების შესაძლებლობა ქალაქების მიხედვით



დიაგრამა 12. სპა ობიექტები თბილისში



დიაგრამა 13. სპა ობიექტები კახეთში



რუკა 1. საქართველოს კურორტების რუკა

შენიშვნა. რუკა გაკეთებულია ArcGis-ში ავტორის მიერ

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Science

Irina Vepkhvadze

Perspectives of the development of health tourism in Georgia

Human Geography

The master thesis is accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Nino Pavliashvili, PhD of Human Geography,

Associate Professor

Tbilisi, 2018